ხუთშაბათი, 1917 წ. ოქტომბრისთვის 12 (25) № 224
წლიწადი მესამე

ხუთშაბათი, 1917 წ. ოქტომბრისთვის 12 (25) № 224
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორკეც მეტია. ხაზგასმული განცხადება თითოეულ ზომით: $15 \times 2 = 8$ მანეთი, $20 \times 2 = 10$ მანეთი, $30 \times 2 = 15$ მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქ გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

ბოლშევიკების 58 წარმომადგენელი რესპუბლიკის საბჭოდან გავიდა.

პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოში მიღებული რეზოლუცია აღნიშნავს: სამშობლოს ხსნა შესაძლოა, თუ მთავრობა დეპუტატთა საბჭოს ხელში გადავა.

სოციალისტ რევოლუციონერებმა ყოფილი სამხედრო მინისტრი სავინკოვი პარტიიდან ამორიცხეს.

გერმანეთში უკანასკნელ საშინაო სესხით 12 მილიარდ ნახევარი მარკა აუღიათ.

სახურსათო სამინისტრომ მგზავრების ბარგის გაჩხრეკის წესი გამოსცა.

წერილებიდან

მეთაური. ბოლშევიკების ტერორი და ყაზახთა ვანდეა.

გრიგოლ ვეშაპელი. პარტიული თათბირისათვის.

გიორგი გვაზავა. საქართველო საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით.

ნ. კეცხოველი. საქართველოს მთლიანობისათვის.

მოსკოველი ქართველი. საქართველოს ეკლესიის გარშემო.

კორესპოდენცია ჭიათურიდან.

ამიერ-კავკასიის ადგილობრივ მთავრობის ორგანიზაცია.

ქაღალდის ახალი ფული.

ყაზანის ციხე და მაჰმადიანები.

ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს დილის 11 საათისთვის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის მიერ ქ. თბილისში მოწვეულია

სასწრაფო თათბირი

მთავარ კომიტეტის და პროვინციის კომიტეტთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

თათბირის საგანია:

1) დამფუძნებელი კრების არჩევნები.
2) პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა.
3) საორგანიზაციო საკითხები.

თათბირზე დასასწრებლად დელეგატების არჩევა უნდა მოხდეს შემდეგის წესით: **ქალაქები:** ქუთაისი, ბაქო და ბათუმის კომიტეტები ჰგზავნიან სამ-სამს წარმომადგენელს. სამაზრო კომიტეტები—ორ-ორს, და სხვა დაბა-ქალაქები და სარაიონო კომიტეტები—თითოს. —795—

ქალაქ ჭიათურაში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ელექტრო-ტეხნიკოსი

სარდიონ გიორგის ძე
ტყემალაძე

რასაც აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს გულმოკლულნი მშობლები: გიორგი და ეფროსინე, ძმები: კოლა, ვალიკო და ციცინა, ძალუა: კატო თავის შვილებით შუშანიკი და თამარით, მამიდები: ვარდო ჩუბინიძისა და ლიზა ყიფშიძისა.

დაკრძალვა მოხდება დღეს, 12 ოქტომბერს სოფ. ჭორვილაში (შორ. მაზრა). 1—826—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმგეობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის
პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყუფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. ლომბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

ქართული კლუბი

წარმოდგენა № 6.

ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს 1917 წ.

თბილისის ქართ. დრამ. დასის მსახ. მიერ წარმოდგენილი იქნება

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომ. 5 მოქ. შექსპირისა, თარგ. კ. მესხისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე ლ., ქილარჯიშვილი მ., ქიქოძე ან. ბ-ნნი: გედევან წივი გ., გვარამაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ი., მატარაძე ვ., ჟივიძე ს., შალიკაშვილი ვ.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. 2—826—2

ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა
ყრილობა

იწყება 1917 წლის 15 ოქტომბერს

პროგრამა ყრილობისა:

1) მიმდინარე მომენტი (მოხს. ბ. ი. ამირაღოვისა).
2) შექმნა ვაჭარ-მრეწველთა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციისა (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
3) მომზადება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
4) დაარსება მუდმივი ორგანოსი (მომხს. მ. ი. ბერბერიანი).
5) ამიერ-კავკასიის საეკონომიო მდგომარეობა: ვაჭრობის მდგომარეობა, მრეწველობისა, სახურსათო საქმე, ტრანსპორტი, საერთაშორისო ვაჭრობა (მოხს. ქ. ვერმიშევისა და მ. ბერბერიანისა).
6) ზოგიერთ სავაჭროების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები (მოხს. ზ. კაჭკაჭოვისა).
7) მზადება დემობილიზაციისთვის (მოხს. გ. მელიქ-კარაკოზოვისა და ა. ხოშიაგოვისა).
8) მოხსენება ადგილებიდან.
9) მიმდინარე საკითხები.

ვაჭარ-მრეწველთა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი, რომელმაც ითავა ყრილობის მოწვევა, სთხოვს საგუბერნიო და სამაზრო ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტებს, საბირჟო კომიტეტებს, მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოებებს, ვაჭართა კამერებს, ხელოსანთა სამმართველოებს და ვაჭარ-მრეწველთა საზოგადო კრებებს, ნუ დაელოდებიან განსაკუთრებულ მოწვევას და გამოჰგზავნონ წარმომადგენლები. დელეგატებს შესასვლელი ბილეთი მიეცემათ ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტის ბინაზე (პუშკინის ქ. ადრესი დეპეშისათვის: „Торгово-промышленный". 10—792—6

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—29

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სქესობრივით ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.
თ—6

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—14

ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის
შავი ქვის მრეწველთა კრების
საბჭო

აცხადებს, რომ ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრის ნებართვით 15 ოქტომბერს 1917 წელს, ქ. ქუთაისში მოწვეულია შავი ქვის მრეწველთა

მეცხრამეტე (მორიგი)
საერთო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. კრების თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი 4 წ., ბ) სარევიზიო კომისიის, გ) განმანაწილებელი ბიუროსი.
3. განხილვა სტატისტიკური ცნობებისა, შესახებ ამოღებული მადნის რაოდენობისა, საწყობებზე დამზადებულ და გატანილ მადნის რაოდენობისა, დასაწყობ და გადასაზიდავ მოწყობილობისა, რომელნიც ხელთ აქვს რკინის გზის მმართველობას როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარ ლიანდაგზე.
4. რკინის გზის საკითხები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მარგანეცის და სხვა საქონლის გადაზიდვის გაუმჯობესებასთან ჭიათურის შტოს საშუალებით.
5. განმანაწილებელ ბიუროს რეორგანიზაცია.
6. სახელმწიფო ბანკიდან მარგანეცის მრეწველებისათვის კრედიტის გახსნა.
7. მარგანეცის გადასაზიდავ ტარიფის დაკლება.
8. შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.
9. სესხის აღება შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოქმედების გასაძლიერებლად.
10. საფუთო გადასახადის მომატება მრეწველთა კრების სასარგებლოდ.
11. გერმანელების კუთვნილი სალიკვიდაციო დანიშნული წარმოების შეძენა ჭიათურაში.
12. საბჭოს კანტორის ჭიათურაში გადატანა.
13. ურთიერთობა შავი ქვის მრეწველთა საბჭოსა და ჭიათურის საქალაქო თვითმართველობის შორის.
14. კითხვები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან დაზავებულ მუშათა უზრუნველყოფის საქმის წარმოებასთან.
15. თავისუფალი აფთიაქის გახსნა ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა კრების ხარჯით.
16. 1917 და 1918 წლების ხარჯთაღრიცხვა და დამტკიცება.
17. არჩევნები საბჭოს მთელი შემადგენლობისა და სხვა თანამდებობის პირთა. (1—1)

ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესიის
კრებული

პატივისცემით აცნობებს, ამა ეკლესიის მრევლთ, რომ კვირას, ღვინობისთვის 15. წირვის შემდეგ, თვით ეკლესიაში დანიშნულია არჩევანი

1) სამრევლო საბჭოს წევრთა,
2) სამრევლო მოლარისა (მნათისა) და
3) სამრევლოს წარმომადგენელთა ეპარქიის კრებისათვის დეპუტატთა ასარჩევად.

და სთხოვს, მობრძანდნენ და მიიღონ მონაწილეობა არჩევანში. 2—827—1

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებობ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. **მისამართი:** ფასანაურის შესახ. № 3 (1-ლი სამილიციო ნაწილი). 35—748—თ.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116. (თ—703—37)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩ., № 22.

25—823—3

თბილისი,
ღვინობისთვის 12.

ბოლშევიკების ტერორი და ყაზახთა ვანდეა

ჯერ კიდევ პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე გამოირკვა ბოლშევიკების ტაქტიკა. რესპუბლიკის საბჭო მათ სურვილის წინააღმდეგ იქნა დაარსებული.

ბოლშევიკებმა იმ თავითვე დაუპირდაპირეს რესპუბლიკის საბჭოს მუშათა დეპუტატების საბჭოები და გადასწყვიტეს 20 ოქტომბრისთვის მოეწვიათ ამ საბჭოების ყრილობა, ეს არც გასაკვირი იყო რადგან ისინი საბჭოებს უცბად შედგენილ რესპუბლიკის საბჭოს კი არა, თვითონ დამფუძნებელ კრებას უპირდაპირებდენ. ბოლშევიკებს უნდათ დაასწრონ დამფუძნებელ კრებას და გამოაცხადონ პროლეტარიატის დიქტატურა; დღეს იმათ დასტოვეს რესპუბლიკის საბჭო და პეტროგრადის მ. და ჯ. საბჭოს სხდომაზე უნდობლობა გამოუცხადეს, როგორც ახალ საბჭოს, ისე დროებით მთავრობას და მის სტრატეგიას.

ეს უკვე ნიშანია იმის, რომ ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს დაიწყონ სამოქალაქო ომი, მალე რუსეთს წითელი ტერორის ცეცხლი მოედება, გლეხობაში უკვე დაწყებულია ეს ტერორი და ეხლა ჯერი პეტროგრადზეა მიმდგარი, გარეშე მტერის შემოსევა კიდევ აჩქარებს ამ ახალი შინაურ ომის დაწყებას.

ბოლშევიკების ტერორს კიდევ ემატება ყაზახთა ვანდეის საფრთხე. ვანდეის დამწყებათ ყუბანის ყაზახობა გამოდის, რომელმაც უკვე მოასწრო საკუთარ რესპუბლიკის გამოცხადება. სხვა მხარის ყაზახებშიაც არ არის სოლიდური სიმშვიდე და ყოველ დღე მოსალოდნელია ყუბანის ამბების გამეორება.

შავი ღრუბლები აწვებიან პეტროგრადს: ბოლშევიკების ტერორი, გერმანელთა შემოსევა, ყაზახთა ვანდეა საბოლოოდ გადასწყვეტენ რუსეთის „პარიზის“ ბედს.

პარტიულ თათბირისთვის

დღეს თბილისში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტთა თათბირია დანიშნული.

თათბირის საგანი უმთავრესად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებია. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ არჩევნებში, რადგან საქართველოს დამფუძნებელი კრების საკითხი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა სათანადოთ და რუსეთის დამფუძნებელი კრების ბოიკოტი ვერ იქნებოდა რეალური პოლიტიკის ნაბიჯი.

ჩვენი პარტია არც ერთ ალაგს არ უნდა დაერიდოს, სადაც-კი შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოებრივ უფლებათა აღდგენის საკითხი, თუნდაც დეკლარაციის სახით.

მართალია თვით რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა და შედგენა ძლიერ სათუო არის, მაგრამ ახალი საარჩევნო ბრძოლის გამოცდა არ ჩაივლის ტყუილად ჩვენი პარტიის საორგანიზაციო განვითარებისათვის.

დამფუძნებელ კრების არჩევნებმა უნდა დაამტკიცოს, რომ ეროვნული დემოკრატია ისეთივე აუცილებელი პოლიტიკური ფაქტორია პროვინციულ, სოფლურ საქართველოსი, როგორც არის დღეს ჩვენი პარტია მუნიციპალურ საქართველოში—საქალაქო არჩევნებით.

მაგრამ პარტიულ თათბირს რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე უფრო მძიმე საგანი აქვს განსახილველი—ეს არის ჩვენი პარტიის ტაქტიკის საკითხი.

ომმაც და რევოლუციამაც მრავალი ახალი ფაქტი და ფაქტორიც დაბადეს მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი ყრილობა დასრულდა... ის „ძალთა განწყობილებაც“ იცვალა, რომლის ენით ვამბობდით ჩვენ.თიბათვეში რუსეთის სტრატეგიაც დამარცხდა და რევოლუციაც... დღეს რუსეთი ანარქიისა და სეპარატიული ზავის თუ არა სეპარატიული დამარცხების ცეცხლშია ჩავარდნილი... რუსეთი ინგრევა და მალე იქ იმდენივე „რესპუბლიკა“ იქნება, რამდენი სახელწოდებაც ჰქონდა რუსეთის იმპერატორის გრძელ ტიტულს... დროა, საქართველოს პოლიტიკა გახდეს უფრო მეტად აქტიური ვიდრე აქამომდე: ჩვენი სოციალ-დემოკრატები ქართველი ერის ძალას არ ენდობოდენ, და თითქოს მიტომ ეკვროდნენ რუსეთის დემოკრატიას, მაგრამ დღეს თვით რუსეთის სოციალ-დემოკრატები აღარ ენდობიან თავის თავს და საერთაშორისო დემოკრატიას ეძახიან დასახსნელად... ამ საერთაშორისო დემოკრატიამ ვიღა მიიშველიოს?.. მარქსის დემოკრატია ხომ არა?.. დროა მკვდარის ჭკიდებას თავი დავანებოთ... რევოლუცია საქართველოსათვის გვინდოდა და საქართველო ხომ ვერ ენაცვლება რევოლუციას!...

ჩვენმა პარტიამ გადაჭრით უნდა დააყენოს საქართველოს ეროვნული კრების მოწვევის საკითხი, თუ დამფუძნებელის არა, წინასწარის მაინც... ამ კრებისათვის ვეტრფოდით ჩვენ ქართულ პარტიათა შეთანხმებას და ეროვნული საბჭოც ამისათვის გვინდოდა...

უნდა ყოველივე ღონე ვიღონოთ, რომ საბჭო დაუყოვნებლივ შეუდგეს თავის მისიის შესრულებას. და ვაი იმას ვისაც ბრალით კიდევ გართულდება საქართველოს ეროვნული პოლიტიკა... ვინც რუსეთში გაკოტრდა, ის საქართველოში გაკოტრებასაც უნდა ერიდოს... ჩვენმა პარტიულმა თათბირმა უნდა ახალი მაგარი იმპულსი მისცეს საქართველოს ეროვნულ პოლიტიკის გაძლებას...

გრიგოლ ვეშაპელი

ომი და ზავი

დეპეშები

აღმოსავლეთის ფრონტი.

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 10. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით სკიულ-ხინცენბურგის და ლემბურგის რაიონში ჩვენებმა წინ წაიწიეს და მტრის მიერ დატოვებული მოწინავე ასპარეზი დაიჭირეს. ამასთან ხინცენბურგის ჩრდილოეთით თხრილები ბრძოლით დავიჭირეთ.

სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტი. სროლაა. განსაკუთრებით კი ფოკშანის მიმართულებით მერეშენის რაიონში.

კავკასიის ფრონტი. არსებითი არა არის რა.

ქ. მონასტირის დანგრევა

სოლუნი. ღვინ. 7. უკანასკნელ დღეღამის განმავლობაში მტერმა ქ. მონასტირს 25 ყუმბარა ესროლა, მის მიდამოებს—160. დანგრეულია 17 სახლი.

ბრძოლა ბალტიის ზღვაზე

მდგომარეობის მიმოხილვა

მთავარი ბანაკი. ღვინობ. 8. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის საზღვაო წრეების ხელმძღვანელნი ბალტიის ზღვაზე დამყარებულ მდგომარეობის გამო აღნიშნავენ, რომ დიდი ნისლი შეუძლებლად ჰქმნის მტრის მოქმედებას თვალყური ვადევნოთ და შევიტყოთ ფართე ოპერაციის დაწყებას აპირებენ ხმელეთზე გერმანელები თუ არა. თეორეტიულ მოსაზრებით კი უნდა მოველოდეთ, გერმანელები ეცდებიან ხმელეთის ნაპირისა და ზღვის პირის ვიწრო წრე ჩაიგდონ ხელში და ამით მოონზუნდის ფლაბა უზრუნველჰყონ. მტრის ხმელეთზე გადმოსვლა მაშინ იქმნება ჩვენთვის სახიფათო, თუ ისეთი ფართე ველი იქნება, რომელიც საშუალებას მისცემს მას ჯარის თავისუფლად მოძრაობისას. ზემოხსენებული პირები აღნიშნავენ, რომ გერმანელების დესანტი გაპსალთან უფრო მოსალოდნელია, ვიდრე პერნოვთან, რადგანაც პირველ შემთხვევაში მტერს ზურგს გაუმაგრებდა ისეთი ჩინებული საზღვაო ბაზა, როგორიცაა მოონზუნდი, რომელიც ყოველ მხრივ ქარებისაგან დაცულია. პერნოვთან დესანტის გადმოსასხმელად კი მტერს ახალი საზღვაო ოპერაციის დაწყება დასჭირდება და რიგის ყურეში საკომუნიკაციო ხაზი უნდა უზრუნველჰყოს. უკანასკნელ ხანებში გაზეთებში აღნიშნავენ, რომ ფინლიანდიის ყურეში შემოსასვლელად გერმანელებს ალანდის კუნძულების აღება დასჭირდებათო. ეს აზრი შემცდარია. ყურეში შემოსვლა უამისოდაც შესაძლებელია.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 8. ზღვაზე მოქმედება არ ყოფილა. კუივასტთან გამოჩნდა მტრის 2 დიდი ჯავშნოსანი, 3 კრეისერი და ნაღმოსნები. ღვინობისთვის 8 ვერდერის სამხრეთით 8 ვერსის მანძილზე მდებარე სოფ. უსკიულს მტრის ნაღმოსნებმა ყუმბარები დაუშინეს. მეიზოვოლის (ვერდერიდან 12 ვერს. ჩრდილოეთთან) მიდამოებში კი დესანტის გადმოსხმას ეცადა, მაგრამ მოდარაჯე რაზმებმა სროლით განდევნეს მტერი.

დასავლეთის ფრონტი.

ინგლისის ბანაკის ცნობა

ლონდონი. ღვინობისთვის 9. ოფიციალი. კრაუზელის ჩრდილო-აღმოსავლეთით ინგლისელების ჯარმა მოულოდნელ თავდასხმით მტრის რამდენიმე ტყე ჩაიგდო ხელში. მთელ ბრძოლის ხაზზე ორივე მხრის არტილერია ძლიერ მოქმედობდა.

მფრინავთა მოქმედება. საარბრუკენის ჩრდილოეთით 16 კილომეტრის მანძილზე მდებარე ქარხანა და რკინის გზის უღელს ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარებით სროლა აუტეხეს. დავაზიანეთ მტრის 4 ჰაეროპლანი. ჩვენი ერთი ჰაეროპლანი არ დაბრუნებულა. ღვინობისთვის 7-ს დამატებითი ცნობებით, ინგლისელთა მფრინავებს დიდი სროლა აუტეხიათ გონტებსტედის ბანაკსა და ჰაეროდრომისათვის. სროლა აუტეხეს აგრეთვე გონტარდესა და რუდერის ბანაკებს. სულ 288 ყუმბარა მოიხმარეს. მთელ დღის განმავლობაში ჩამოუგდიათ მტრის 9 ჰაეროპლანი, დაუზიანებიათ 4. ინგლისელების 3 ჰაეროპლანი აღარ დაბრუნებულა.

იტალიის ბანაკის ცნობა.

რომი. ღვინობისთვის 9. გუშინ პლეცცოსა და ტოლმინოს რაიონებში და ვიპაკოს სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა იყო.

გერმანეთის შინაური სესხი

კოპენჰაგენი. ღვინ. 8. ბერლინიდან მოსულ ცნობების თანახმად გერმანეთის შინაურ სესხზე 12 მილიარდ ნახევარ მარკაზე მოუწერიათ ხელი.

სოციალური პოლიტიკა გერმანეთში

კოპენჰაგენი. ღვინ. 8. დაიხურა სოც. დემ. ვიურცბურგის ყრილობა. კამათის განხილვის დროს შეიდემანმა ის აზრი გაატარა, რომ დრო დადგა თანდათანობით ფართე სოციალური პოლიტიკა ვაწარმოვოთ გერმანეთშიო, პირველ ყოვლისა კი სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიზაცია უნდა მოხდესო.

დახმარება ფრონტის ჯარს

დემოკრატიულ ორგანიზაციების მოწოდება გლეხებისადმი.

პეტროგრადი. ღვინობ. 9. დემოკრატიულ ორგანიზაციათა საზოგადოებრივმა კომიტეტმა შემდეგის მოწოდებით მიმართა გლეხობას:—„ამხანაგო გლეხებო! სამშობლო ჩვენი მეტად მძიმე და აუტანელ მდგომარეობაშია. ჩვენ ვიბრძვით ხალხის უფლებათა განსამტკიცებლად, მის ხელში მიწის გადასაცემად, და ამდროის გარეშე მტერი ახალ-ახალ შემოტევას იწყებს ფრონტზე. იგი რუსეთის მუდმივ მოხარკედ გადაქცევას იმუქრება. რუსეთს რუსის ერის მაგივრად ვილჰელმი დაეპატრონება და იგი ჩვენ ნიკოლოზ რომანოვზე უარესად მოგვეპყრობა. მაშინ აღარც დამფუძნებელ კრებას ვეღირსებით, გამოეთხოვეთ მიწასაც და თავისუფლებასაც თუ ძლიერი ჯარი არ შევქმენით. ეხლა ჯარი რაინდულად იბრძვის, მიწისა და თავისუფლებისათვის არ ზოგავს თავს. და თუ იგი ვერ შესძლებს მტრის შეჩერებას ჩვენივე ბრალი იქმნება. ჩვენ მათ ღირსეულად არ უჭერთ მხარს. ვისაც არ ჰსურს მონად ქცევა, ვისაც ჰსურს მიწისა და თავისუფლების შერჩენა—მსხვერპლს არ უნდა ზოგავდეს. უნდა გავიღოთ პური რომ ჯარის კაცი ნახევარ გირვანქა პურის შემყურე არ გავხადოთ. მშიერი ჯარი სამშობლოს ვერ იხსნის, თუ ჩვენ არ დავეხმარეთ არავითარ მთავრობას არ შეეძლება ჯარის გამოკვება და ჩაცმა. დაე ნუ იფიქრებენ, რომ ჩვენ ისინი დავივიწყდნენ. დაინახვეთ რომ ჩვენ, სახლში დარჩენილ მოხუც მამებს, პატარა შვილებს თუ ძმებს, დედებს, ცოლებს, დებს და ქალიშვილებს არ დაგვიწყებია ჩვენი მფარველები, არ დაგვიწყებია მათი სირაინდე. ამისათვის, თქვენ ამხანაგო გლეხებო, მოგიწოდებთ, როგორც რუსეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთ, ღვინობისთვის 29, 30 და 31-ში აგრეთვე ყველგან საჩუქრები ფრონტისათვის. გაიღეთ ვისაც-კი რა შეგეძლებათ: ხორბალი, ფქვილი, ორცხობილა, საცვლები, ტყავეულობა, სათბილობლები, ტყავი, ფეხსაცმელი, მატყლი, ნაბდის ფეხსამოსი, თამბაქო, ქაღალდი და მათ ვინც ჩვენთვის სისხლს ღვრიან იცოდნენ, რომ არ დაგვიწყებიან. გავამხნევოთ ჩვენი მებრძოლნი, რომ შესაძლო გახდეს სამშობლოს ხსნა მტრისაგან.

მოწოდება ქალაქის მცხოვრებთადმი

პეტროგრადი. ღვინ. 9. დემოკრატიულ ორგანიზაციათა გაერთიანებულმა თავდაცვის კომიტეტმა ქალაქთა მცხოვრებლებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჯარს პური აკლია, მიუხედავად ზამთრის მოახლოვებისა ჯარისთვის თბილი ტანისამოსი არ არის. მტერი კი ძალუმად მოსწოლია ჯარს, რომელიც ძლივს უმაგრდება მას სატახტო ქალაქის გზებზე. როდესაც ასეთ პირობებში ჯარი ხედავს, რომ შიგნით სახელმწიფოში წესიერი ცხოვრება დაირღვა, და არაფერი აღარ იშოვება და შესაძლებელია მას გული გაუტყდეს, სიმტკიცე დაჰკარგოს და იფიქროს, რომ სახლში დარჩენილები აღარა ზრუნავენ იმათზე, ვინც მათ იცავს მტრისაგან. ჩვენ მოგიწოდებთ ღვინობისთვის 29, 30 და 31 მთელ რუსეთში მოჰკრიბოთ ფული და საგნები ჯარის სასარგებლოდ. დიდ, სოფელმა პური გაიღოს, ქალაქებმა კი ფული, თბილი [illegible], [illegible], ჩაი, შაქარი, საპონი, თამბაქო. ქარხნებმა, სავაჭროებმა, თეატრებმა, კინემატოგრაფებმა, ამ ნაირგვარობის თავშესაფარებმაც გაიღონ წვლილი იმათ სასარგებლოდ, ვინც სიცივეში მშიერ მწყურვალი სამშობლოს იცავს. დიდ, ამ დღეებში მთელი რუსეთი შეერთდეს და ძლიერი, რკინის კავშირით შეეკრან მცხოვრებნი ფრონტს. გაუმარჯოს რევოლუციონურ ლაშქარს!“

ზავის გარშემო

საბერძნეთის მინისტრი ზავის შესახებ

ათენი. ღვინ. 8. საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სთქვა: ბოლო ხანებში იმ პირებმა, რომლებსაც საზოგადო აზრის შეცდომაში შეყვანა აინტერესებთ, ხმები გაავრცელეს ზავის შესახებ, სინამდვილე კი სრულიად წინააღმდეგს გვიჩვენებს; ომი არამც თუ არ შესწყდება, არამედ მოკავშირეებმა ოფიციალად ერთსულოვნად დაადგინეს—ომი განაგრძონ ვიდრე მილიტარიზმი სამუდამოდ არ იქნება მოსპობილი.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ყრილობა

კოპენჰაგენი. ღვინობ. 8. ავსტრიის გერმანელ სოც.-დემ. ყრილობის მდივანმა განაცხადა, ყრილობის მთავარი მიზანი ზავისთვის მომზადებაა.

რუსეთის რესპუბლიკა

დეპეშები

ინტერნაციონალისტების კონფერენცია.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 10. ღვინობისთვის 18-სათვის პეტროგრადში იწვევენ სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატების ინტერნაციონალისტების კონფერენციას. კონფერენციაზე ბოლშევიკებს არ იწვევენ.

სავინკოვის განდევნა

პეტროგრადი. ღვინობ. 10. ყოფილ სამხედრო მინისტრ სავინკოვს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ მოსთხოვა განმარტება მის პოლიტიკურ მოღვაწეობის შესახებ. სავინკოვმა აცნობა, რომ იგი პარტიის ცენტრალ კომიტეტის მორალურ და პოლიტიკურ ავტორიტეტს აღარ სცნობს, ვინაიდან მის ზოგიერთ წევრებმა გერმანეთზე გაიარეს და ამით მტერთან კავშირი იქონიეს. ამასთან ეწინააღმდეგება ზოგიერთ წევრების პოლიტიკურ მოღვაწეობას, ვინაიდან იგი სამშობლოსთვის დამღუპველად მიაჩნია. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალ კომიტეტის დადგენილებით სავინკოვი პარტიიდან განიდევნა.

დამფუძნებელ კრების სამზადისი

საარჩევნო კომპანია.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 6. ამ უკანასკნელ სამ დღეში პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს საარჩევნო კომპანიის შესახებ შემდეგი ცნობები მისვლია:-

არხანგელსკში საარჩევნო სიები გამოცხადდა; პარტიული კომბინაციები ჯერ არ გამორკვეულა.

ვიატკაში ხალხის თავისუფლების პარტიის საერთო საგუბერნიო კონფერენციამ ჩაიკოვსკის და ჩარუშინის გაყვანა გადასწყვიტა.

ეკატერინბურგში არასოციალისტური პარტიები გაერთებაში არიან. არჩევნების წინასწარ აგიტაციას, სტამბების გაფიცვის გამო, ვერ ეწევიან.

კიევში მოქალაქეთა საარჩევნო სიები გამოცხადდა. მცხოვრებლები საერთოდ არჩევნებს დიდ ყურადღებით ეგებებიან; ჩერკასკის მაზრის გლეხები უნდობლობის თვალით უყურებენ არჩევნებს, სკვირის მაზრის ზოგიერთი სოფლელები არჩევნებზე უარს აცხადებენ; აპირობენ გლეხებს მოწოდებით მიმართონ. დეპუტატთა საბჭოს უკრაინულმა ფრაქციამ უკრაინის ყველა პარტიათა ბლოკის შეკვრა გადასწყვიტა. უკრაინის ცენტრალი კომიტეტი კოოპერატივების ცალკე გამოსვლის წინააღმდეგია.

კოსტრომაში სიები გამოქვეყნდა, კადეტებს გაჰყავთ ოგოროდნიკოვი, ფრენკელი და საფრონოვი (სათათბიროს წევრები).

კრასნოიარსკში სიების შედგენა წესიერად მიმდინარეობს.

კრონშტადტში საარჩევნო სიები გამოქვეყნდა.

მინსკის გუბერნიაში მოსამზადებელი მუშაობა წესიერად მიმდინარეობს. გარდა გილენის გუბერნიისა, რომელიც მინსკის საარჩევნო ოლქს ვთვ-

საქართველო საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით

III

ეროვნული მთლიანობა.

ალაზნის ბოლოდან შავი ზღვის ნაპირებამდე ყოველთვის ჰქონდა ერთი ეროვნულ კულტურული ცხოვრება: ერთი იყო ენა, ერთი იყო სარწმუნოება, ერთი—ლიტერატურა. ეკლესია იყო ავტოკეფალური, კათალიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოისა განაგებდა საეკლესიო საქმეებს. მისი სახელი ერთნაირად იხსენიებოდა ყოველგან ეკლესიებში. ხელმწიფობაც ერთი იყო, მაგრამ უფრო ზნეობრივად, ვიდრე იურიდიულად. ნუ დავივიწყებთ, რომ იმ დროს საქართველოში მეტად განვითარებული იყო ის ეკონომიური წესწყობილება, რომელსაც ჰქვიან ფეოდალიზმი, ეს გარემოება კი თავის დაღს ასვამდა ხელმწიფობის აგებულობას: ეს ხელმწიფობა (სახელმწიფოებრივი უფლება) უნდა ყოფილიყო დაფანტული და დანაწილებული. მიუხედავად ამისა, ზნეობრივად მაინც, ყველა აღიარებდა აღმოსავლეთ საქართველოს მეფის უპირატესობას. მისი სახელიც იხსენიებოდა ეკლესიებში, როგორც სრულიად საქართველოს მეფისა. ხალხის შეგნებაში მას ეჭირა ადგილი ეროვნული მეთაურის და მესვეურისა. თვით მთავრებსა და მფლობელებს მასთან მოჰქონდათ განსახილველად და გადასაწყვეტად თავის საჩივარი და უკმაყოფილებანი, იმასა სთხოვდნენ რჩევასა და დახმარებას, იქ ეძიებდნენ შველასა და დაკმაყოფილებას; ყველა სცდილობდა და ჰნატრობდა მის ოჯახთან დაახლოვებას და დანათესავებას. მაშინ კი, როდესაც სამთავრო ან სამფლობელო ტახტი დაცლილი იყო სხვა და სხვა მიზეზების გამო, მისი გვარეულობა ითვლებოდა ამ ტახტისა თუ სამფლობელოს მემკვიდრედ. იმასა სთხოვდენ დაენიშნა მთავრად და მართველად ამა თუ იმ მხარისა თავისი შვილი ან ახლო ნათესავი. ეროვნული მთლიანობის შეგნება ისე ღრმა იყო და ცხადი მთელს საქართველოში, რომ ერთ დროს მთელი იმერეთი მოითხოვდა საქართველოს გაერთიანებას და ეს თხოვნა არა ერთხელ მოეხსენდა მეფე ერეკლე მე-II. ომის და შიშიანობის დროს, რა თქმა უნდა, ყოველი ნაწილი საქართველოისა ერთნაირად განიცდიდა ზნეობრივ ტანჯვას, ერთნაირად ჰგრძნობდა თავის მოვალეობას აღმოეჩინა ყოველგვარი შეწევნა და დახმარება აღმოსავლეთ საქართველოსათვის. დახმარება ჯარითა და სურსათით იყო ხშირი. ამისთანა მაგალითებით სავსეა საქართველოს ისტორია.

ბოლოს ამ ეროვნულ მთლიანობის შეგნებამ მიიღო ყველასათვის აშკარა, მკაფიო და მკვეთრი გამოხატულება იმ ცნობილ „ერთობის პირობაში“, რომელიც დადებულ იყო, ქ. თბილისში 1790 წელს, „ივერიელთა მეფეთა და მთავრობათა შორის.“*)

ეს ხელშეკრულება მეტად საინტერესოა არა მარტო არსებითად, არამედ ფორმითაც, როგორც თავისებური შემოქმედებაც იმ დროინდელ პოლიტიკურ აზროვნებისა.

ეს არის ის ცნობილი „ერთობის პირობა“, რომელიც დადებული იყო 1790 წელს ქ. თბილისში. ამ შესანიშნავი იურიდიული საბუთით მტკიცდება არამც თუ მხოლოდ ეროვნული, არამედ სახელმწიფოებრივი მთლიანობა საქართველოისა. ყველა საქართველოს მფლობელმა აღიარა უზენაესი ხელმწიფობა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მე-II და გახდა „მორჩილი სიტყვისა“ მისისა. მე-5 მუხლის ძალით, ყველამ ხელი აიღო საერთაშორისო განწყობილების უფლებაზე. ეს საერთაშორისო განწყობილობის წარმოება, განსაკუთრებით რუსეთთან, მიანდეს მხოლოდ ერეკლე მეფეს. ამიერიდან მხოლოდ ერეკლე მეორე იყო ერთადერთი უფლება-მოსილი წარმომადგენელი მთელი საქართველოისა. ამნაირად დამყარდა სახელმწიფოებრივი სუვერენობა.

მართალია, ეს პოლიტიკური გაერთიანება მოხდა ცოტათი გვიან, რუს-საქართველოს ხელშეკრულობა დადებული იყო ცოტათი ადრე, მარა რაც გინდა იყოს და როგორი თვალითაც არ შევხედოთ ამ გარემოებას, ეჭვის გარეშეა შემდეგი ორი დასკვნა: ერთი ის, რომ საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა, მეორე—დასავლეთ საქართველო შევიდა იმ უფლებრივ სფეროში, რომელშიაც იმყოფებოდა აღმოსავლეთ საქართველო ე. ი. მოექცა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ამ უკანასკნელ მოვლენას დასამთავრებლად საჭირო იყო მხოლოდ რუსეთის დასტური. ამ განძრახვით დადებული „ერთობის პირობა“ გაგზავნეს რუსეთში და გადასცეს რუსეთის კანცლერს ა. ა. ბეზბოროდკოს. ამნაირად რუსეთის მთავრობამ მიიღო ეს „პირობა“, გაიცნო იგი, მარა ხმა კი არ ამოუღია, არც დასტურის, არც უარის ყოფისა.

ეს გასაგებია. რუსეთი საქართველოს „მფარველობას“ ძალიან ემდაუჰებოდა, არ უნდოდა ხელიდან გაეშვა ეს უფლებრივი უპირატესობა, მარა ძალიან აფიქრებდა საქართველოს გაერთიანება. იგი არ იყო წინააღმდეგი პროტექტორატის, მარა ძალიან წინააღმდეგი იყო საქართველოს პოლიტიკური აღორძინების და განახლებისა. ამიტომ იმან სხვა გზა ამოირჩია—გზა კერძო შეთანხმებისა და მორიგებისა საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებთან. აქ ირაკლი მეფე და მისი შთამომავლობა სრულებით საჭირო არ იყო. სახელმწიფოს დაკნინება და მისი პოლიტიკური დაქუცმაცება—აი ეს იყო უმთავრესი მიზანი და მიმართულება მაშინდელი რუსეთის ძალისა და პოლიტიკისა. ამიტომ 1790 წლის „პირობის“ დადასტურების მაგივრად, რუსეთმა მიჰყო ხელი სხვა და სხვა ხელშეკრულების დადებას საქართველოს კერძო მფლობელებთან: იმერეთის მეფესთან და დანარჩენ მთავრებთან. ყველა ეს ხელშეკრულება არსებითად იგივეა, როგორც ტრაქტატი 1783 წლისა, მხოლოდ პოლიტიკურად არღვევენ საქართველოს მთლიანობას და აქუცმაცებენ მას რამდენიმე დამოუკიდებელ სამთავროებად. ამ ნაირად მოკლე დროში დადებულ იქნა ხელშეკრულებები: სამეგრელოსთან—4 ოქტომბერს 1803 წ., იმერეთთან—25 აპრილს 1804 წ., გურიასთან—1810 წ., აფხაზეთთან—იმავე 1810 წ. და სვანეთთან—1833 წ.

არსებითად, ვიმეორებ, ყველა ეს ხელშეკრულება ისეთივეა, როგორც ტრაქტატი 1783 წ.: ყველა თანახმაა მოქცეს რუსეთის მფარველობის ქვეშ, მარა ყველა გადაწყვეტილად იცავს და მოითხოვს შინაურ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. რუსეთის მთავრობას არა აქვს უფლება ჩაერიოს ამ ქვეყნების შინაგან საქმეთა წარმოებასა და მართვა-გამგეობაში. ამიტომ საჭიროც არ არის ყველა ამ ხელშეკრულებების მოყვანა და განხილვა.

საჭირო არ არის აგრეთვე კერძო განხილვა იმ მიწერ-მოწერისა, რომელიც აქვნდა მეფე გიორგი მეთორმეტეს დროს. როგორც ვიცით, მისი „სათხოვარი პუნქტები“ შედგენილ იყო რუსეთში, მერე გამოგზავნილი თბილისში განსახილველად და ხელის მოსაწერად, მარა ამ დროს გიორგი მეფეც გარდაიცვალა და მისი სიკვდილის შემდეგ საქართველოში არ იყო ისეთი ორგანო, რომელსაც შეეძლო საერთაშორისო ხელშეკრულების დადება. ტრაქტატი 1783 წლისა შეუცვლელად დარჩა.

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ საქართველოს უფლებაზე, სრულებით საკმარისია მხოლოდ ერთი ხელშეკრულება—ტრაქტატი 1783 წლისა.]

გიორგი გვაზავა.

(შემდეგი იქნება)

---

*) სრული ტექსტი ამ ხელშეკრულებისა დაბეჭდილი იყო „საქართველოში“ ამა წლის 11 იანვარს.

ლება. გლეხთა დეპუტატების ყრილობა სოციალისტ-რევოლუციონერების სიას უჭერს მხარს. პირველი ადგილი უჭირავთ აქსენტიევს, კოვარსკის და ანსკის, დანარჩენი გლეხებს. მენშევიკებს გაჰყავთ მარტოვი და სკობელევი.

ნიჟნი-გოროდის გუბერნიაში სიები 5 მაზრაში უკვე შედგენილა, დანარჩენ მაზრებიდან ცნობა არ არის.

ნიკოლაევსკში მენშევიკების კონფერენციამ დაადგინა, რომ ოდესის კადეტებს შეუერთდნენ. ბოლშევიკები ცალკე გამოდიან.

ნოვგოროდში სიები გამოცხადდა. კადეტების ყრილობა კანდიდატებს ირჩევს.

ოდესაში ბუნდმა საქალაქო საბჭოს მოსთხოვა, რომ საარჩევნო განცხადებები უკრაინულ, პოლონურ და ებრაულ ენებზედაც დაიბეჭდოს.

დაიწყო რუმინეთის ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობა სანსტრუქტორო კურსებზე 400 მეტი კაცი ჩამოვიდა.

დონის როსტოვში სამხრეთ დონის კავშირის წვრილ კრედიტის წარმომადგენელთა ყრილობას საკუთარ სიების გამოტანა არ გადაუწყვეტია. ღვინობისთვის 10-სათვის ახალ ყრილობას იწვევს.

სარატოვში სიები გამოცხადდა. დაარსდა აგიტატორებისა და ინსტრუქტორების კურსები. მენშევიკებს მაისკი გაჰყავთ.

სემიპალატინსკში გლეხთა საოლქო ყრილობა დაიწყო. განიხილავენ დამფუძნებელ კრების საარჩევნო საკითხებს.

ტომსკში კოოპერატივები ცალკე გამოსვლას აპირობენ.

ხარკოვში სიები გამოცხადდა. ბოლშევიკებს მერანოვი გაჰყავთ.

იალტაში სიები გამოცხადდა. თათრები უყურადღებოდ ეპყრობიან საქმეს.

იაროსლავში სიები გამოცხადდა.

რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

ღვინობისთვის 10-ის სხდომა

სხდომის გახსნა

სხდომა იხსნება 11 საათ. და 30 წ. თავმჯდომარეობს ავქსენტიევი, რომლის მოხსენებითაც კრებამ მიიღო უხუცესთა საბჭოს წინადადება 12 კომისიის გამოყოფისა და სხდომების ორშაბათის, ოთხშაბათისა და პარასკეობით მოწვევის შესახებ. კრება საჭიროდ სცნობს ამავე დღეს აირჩიონ პირად შემადგენლობის და ნაკაზის კომისია. ნაკაზი 5 დღეში უნდა იქნეს შედგენილი. კრების წესრიგში პირველად აღნიშნულია მთავრობის მოხსენება სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ.

11 საათ. და 45 წ. კრება სწყდება.

კრება განახლდა 12 საათ. და 30 წ. მინისტრთა ლოჟებში იმყოფება კერენსკი, სხვა მინისტრები და უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსი დუხონინი. თავმჯდომარე იუწყება, მთავრობა თავდაცვის შესახებ მოხსენების გაკეთებას აპირებს და საჭიროდ მიაჩნია საჩქაროდ საგანგებო კომისია არჩეულ იქმნასო.

წინადადება მიიღეს.

გამოდიან სამხედრო და საზღვაო მინისტრები.

ვერხოვსკის სიტყვა

გერმანელების შემოტევა

მტერი ხმელეთზე გადმოვიდა, დიდი ოპერაციები დაიწყო და ძალიან სცდილობს ახალი ზიანი მოგვაყენოს, მაგრამ თავის ნების ყოფას ვერ დაუმორჩილებს ჩვენს თავს. სხვა პირობებში მისი ცდა ჩვენი დამარცხებით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ ეხლა კი არა. გერმანელები ფსიხოლოგიურ შედეგებს ისახავენ მთავარ მიზნათ. გერმანელებს ჰგონიათ, რომ რუსები სიმხდალეს გამოიჩენენ და გერმანელების საზავო პირობებს ხელს მოაწერენ.

ჯარის მდგომარეობა

ვინც ამბობს რუსეთის ლაშქარი აღარ არსებობსო, არ ესმით რას იძახიან. ჩვენ გერმანელთა 130, დივიზიას ვაბანდებთ. რუსის ჯარით, — შესძახებს მინისტრი, არსებობს და შეასრულებს კიდევაც თავის დანიშნულებას ბოლომდისათ (ტაში მარცხნივ). აშკარა სისულელეა, ვითომც დადგება თუ არა სიცივე, ჩვენი ჯარი მიატოვებს სანგრებს და გამოიქცევაო (ტაში მარცხნივ). ჩვენ წარმოვადგენთ რეალურ ძალას, რომელსაც ყველა გაუწევს ანგარიშს.

ანარქია ზურგის ჯარში

ჩვენ ჯარში ფრონტზე და შიგნით ბევრი უბედურება მოხდა. საკმარისია ვსთქვა, რომ ღვინობისთვის 1-დან დღევანდლამდე შიგნით სახელმწიფოში 16 დარბევა იყო, 8 ღვინის საწყობების დარბევა, 24 სხვა და სხვა ჯურის დაუკითხავად გამოსვლა, 16-ჯერ შეიარაღებულ ჯარის მოხმარება გახდა საჭირო ანარქიულ გამოსვლების ჩასაქრობად. მე მაშინ შევუდექი ჩემს თანამდებობის ასრულებას, როცა კორნილოვის ამბავის გამო ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის ჩამოვარდნილ განხეთქილებას ბოლო არ მოეღებოდა. მდგომარეობა ისეთი იყო, თითქოს შეუძლებელი იყო ვისიმე ნდობა, ვინაიდან თვით უმაღლესი მთავარსარდალიც დროებითი მთავრობის წინაამდეგ წავიდა. ანგარიში უნდა გაუწიოთ იმას, რომ ამ საბედისწერო ამბავმა აურაცხელი ზიანი მოგვაყენა.

ანარქია ფრონტზე

მინისტრი მიუთითებს იმ გარემოებაზე, თუ რა ანარქიული განწყობილება დაიბადა ფრონტზე უფროსებისა და ჯარისკაცთა შორის, განსაკუთრებით კორნილოვშჩინის შემდეგ. ეს საყოველთაო ავადმყოფობა ერთნაირად მოდებულია როგორც ფრონტზე, ისე ზურგს უკან მდგარს ჯარებში. მინისტრი არა მალავს, რომ არიან ჯარები, რომელნიც სამაგალითოდ იქცევიან და უდრტვინველად ემორჩილებიან ყოველს განკარგულებას, მაშინ, როდესაც უმეტესი ნაწილი მხოლოდ საყვედურებით მოდის. განსაკუთრებით უჩივიან ციმბირის ოლქისა და პეტროგრადის მხრით. ყოველი უბედურობის მიზეზი, მინისტრის აზრით, მხოლოდ გაუგებრობაა, ჯარებს არ ესმით, თუ რისთვის იბრძვიან იგინი. დროებით მთავრობის დანიშნულება ის უნდა იყოს, რომ ფართოდ შეაგნებინოს მოვალეობა, რომ ყოველს ჯარისკაცს და ყოველს აფიცერს ესმოდეს, რომ ჩვენ დაპყრობით პოლიტიკით კი არ ვხელმძღვანელობთ, არამედ თავდასაცველად, სამშობლოს განადგურებიდან გადასარჩენად (ტაში მარცხნივ და რამოდენიმე ცენტრში). დროებით მთავრობის სამხედრო პროგრამა, რაც უკვე მოხსენებული მქონდა დემოკრატიულ თათბირზე, ენერგიულად ხორციელდება ცხოვრებაში. ყველას ის უფროსები და საზოგადოდ ის პირნი, ვინც ასე თუ ისე კორნილოვის ამბოხების მოზიარენი იყვნენ, გადაყენებულ იქნენ და მათ ადგილი დავაჭერინეთ უფრო სანდო და თანამედროვე მდგომარეობის გამთვალისწინებელ პირებისაგან. კომანდის შემადგენლობის საქმე საბოლოოდ მოგვარებულია. დღეს დღეობით სასურველად მიდის მათი მოქმედების ტემპი სამხედრო ძლიერების აღსადგენად. კანონებს იმუშავებენ და მალე გამოქვეყნდება კიდეც თუ რა წესით უნდა მოქმედებდნენ კომიტეტები და კომისრები. ამასთანავე მინისტრი საჭიროდ სთვლის, ყურადღება მიექცეს სალაშქრო ორგანიზაციებს, უწყოდნენ, რომ როგორც ძველის რეჟიმის დროს, ისე ეხლაც არიან ხალხნი, რომელნიც იქით გაჰკრავენ ხელს, საითაც ქარი დაუბერავს. აი, ჩვენ გამოგვიჩნდნენ ისეთი გენერლები, რომელთაც უკვე ალღო აუღეს თუ საიდან მოჰქრის ეს ქარი. აი, ასეთ პირებთანაც საჭიროა (ბრძოლა ?), მწორედ ისე, როგორც დემაგოგებთან, რომელთაც უბრალო ჯარისკაცებში ვხედავთ ხოლმე ამოტივტივებულთ.

ჯარის შემცირება

ჯარის შემცირების შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ ეს უზარმაზარი საორგანიზაციო მუშაობა ფაქტიურად უკვე დაწყებულია. უკვე გაშვებულია ოთხი უკანასკნელი წლის მოლაშქრენი. ლაშქარი ნელ-ნელ მცირდება, მაგრამ ყოველ ღონისძიებასა ვხმარობთ, რომ რაც იქნება, ყველა ღირსეული იყოს. დიდი ხარჯების შემცირებაზე ამ მოკლე ხანში ვიტყვით ჩვენს აზრს. ზომებია მიღებული, რომ ჯარები შევადგინოთ უმთავრესად მოხალისეებისაგან. ასეთივე ზომებია მიღებული ჯართა გაეროვნებისათვის. მინისტრი ხაზს უსვამს, თუ რა ძნელი საქმეა არმიისათვის სურსათით უზრუნველყოფა. მიზეზი ისაა, რომ არის ზოგიერთა ფართო პურიანი მდიდარი ოლქები, რომელნიც მარცვალსაც არ იმეტებენ გასასყიდლათაო. თუ სახელმწიფოსა ჰსურს, რომ ჯარი შიმშილით არ გაუწყდეს, საჭიროა რომ ეს ოლქები აიძულონ და პური გაალებინოს. მაგრამ პური იქით არის საკითხი, რასაც მეტად მწვავე ხასიათი აქვს. ესაა ჯარში წესიერების აღდგენა.

წესიერების აღდგენა

სხვა და სხვა ხალხი სხვა და სხვანაირად უყურებენ ამ საკითხს: ჰფიქრობენ, ვითომც წესიერების აღდგენა შეიძლება იძულებით, ერთი ეროვნების ჯარისკაცთა მეორისადმი მისევით, ანუ სხვა რაიმე სასტიკი ზომებით, რასაც მთავრობა მოიხმარებს. უნდა ვსთქვათ, რომ ერთად ერთი გარეშე ძალა, რომელიც დაიმორჩილებს და დააწყნარებს ყველას, მხოლოდ გერმანელთა ხიშტების ძალაა (ხმები მარჯვნიდან: „ეს ვერ არის კარგი"). თუ ჩვენ ვერ გამოვიჩენთ ძალას შიგნით სახელმწიფოში წესიერების დასამყარებლად, მაშინ ამ წესიერებას გერმანელთა ხიშტები ჩამოაგდებენ. (ხმები: „არ შეიძლება ამნაირად ლაპარაკი", პროტესტები ისმის). სახელმწიფოში წესიერების დასამყარებლად რესპუბლიკის საბჭომ უნდა აღიაროს, რომ საჭიროა შეიარაღებული ძალის მოხმარება, მხოლოდ ამაშია ხსნა (თანაგრძნობაა მარცხნიდან). რესპუბლიკის საბჭოს მინისტრი საჩქაროდ ურჩევს განსახილველად კანონპროექტს ჯარში დისციპლინის აღდგენისა, დანაშაულისათვის დასჯის შესახებ. კანონპროექტი ჰგულისხმობს აგრეთვე დისციპლინალურ სასამართლოს, რომელიც 48 საათის განმავლობაში გამოიტანს დადგენილებას და შემდეგ ჯარის უხლოესს უფროსს დასჯის უფლება მიეცემა. აქამდეო, სთქვა მინისტრმა დასასჯელად ჯარს ნაწილიდან გამოჰყოფდნენ ამბოხების მეთაურებს და მათ სჯიდნენ. საჭიროა მთელი პოლკები ისჯებოდეს, დროებით სახლში გაშვების უფლება წაერთვათ და ტუსაღის საკვებზე იქნენ გადაყვანილი, არ მიეცემათ ჯამაგირი. საბჭოს წევრებმა გადაჭრით უნდა სთქვან, რომ სახელმწიფოს გადასარჩენად აუცილებლად საჭიროა იარაღის ხმარება. (მილიუკოვი ადგილიდან იძახის: „ჩვენ მთელ ხალხს არ მოუწვევივართ". მარჯვნიდან ისმის: „ჩვენ ხალხის წარმომადგენლები არა ვართ" ხმაურობაა). ყოველ შემთხვევაში, — იძახის მინისტრი, — ეს ერთად ერთი წარმომადგენლობითი ორგანოა სახელმწიფოსი (თანაგრძნობა მარცხნიდან). ამიტომ გადაწყვეტით ვამბობ თუ არა გნებავთ იმ მდგომარეობაში ჩავცვივდეთ, რომლის შესახებაც ბისმარკმა სთქვა, რომ ჩვენ მხოლოდ თვალებს დაგვიტოვებენ ჩვენი უბედურების დასატირებლად, — ჩვენ უნდა ვეცადნეთ, ვიდრე გვიან არ არის სახელმწიფოს ანარქიისაგან გადასარჩენად ყველა ზომები მივიღოთ.

რესპუბლიკის საბჭოს გარშემო

რესპუბლიკის საბჭოს შემადგენლობა

პეტროგრადი. ღვინობ. 9. რუსეთის რესპუბლიკის დროებით საბჭოს კანცელარიის ცნობებით დროებით საბჭოში შედის: 126 წარმომადგენელი ცენზიან ჯგუფებიდან, 25 ყაზახი, 5— ეროვნებათა ცენზიანი წარმომადგენელი, 27 ეროვნებათა დემოკრატიული წარმომადგენელი, 314 წარმომადგენელი დემოკრატიულ ორგანიზაციებისა ბოლშევიკების იმ 58 წარმომადგენლის გამოკლებით, რომელთაც დროებითი საბჭო ღვინობისთვის 7 ის სხდომაზე დასტოვეს.

ეკონომიური ცხოვრება

სამთამადნო ყრილობა

ხარკოვი. ღვინ. 8. გაიხსნა დონეცის ოლქის სამთამადნო მუშების კონფერენცია, რომელმაც სამეურნეო კრიზისის შესამცირებლად საჭიროდ სცნო ეკონომიური საბჭოს მოწვევა. საბჭომ უნდა მადაროები და მღვიმეები დაათვალიეროს, ნახშირისა და რკინის მრეწველობის იძულებითი სინდიკალიზაციის კანონპროექტი შეიმუშაოს, გამოცდის ხელოსნების მოსამზადებელ და პროფესიული სკოლები დააარსოს და ფრონტიდან გამოცდილი მუშები დააბრუნოს.

შავი ქვის გამოზიდვა ბრაზილიიდან

5 უკანასკნელ წელში ერთობ გადიდებულა ბრაზილიიდან შავი ქვის მადანის გამოზიდვა. მაგალითად 1912 წელს ბრაზილიას მსოფლიო ბაზარზე 122,300 ტონნა შავი ქვა გამოუტანია და 181,000 გირვანქა სტერლინგი აუღია, 1916 წელს კი გამოუტანია 503,130 ტონნა შავი ქვა, რომელშიაც 1,478,000 მან. აუღია.

უკანასკნელი დეპეშები

ბოლშევიკების ცენტრალმა კომიტეტმა ლენინის თავმჯდომარეობით გადაწყვიტეს დეპუტატთა საბჭოების მომავალ ყრილობაზე მთავრობის საბჭოების ხელში გადასვლა მოითხოვონ.

პეტროგრადში, ალექსანდრეს თეატრში „ივანე მრისხანეს სიკვდილი"-ს წარმოდგენის დროს მონარქისტებმა დემონსტრაცია გაუმართავთ.

ტობოლსკის კომისარი თხოულობს ყოფილ მეფის ოჯახობისთვის თბილი ტანსაცმელი გამოგზავნეთო. ალექსი ცუდად გრძნობს თავს. ნიკოლოზი არაფრის არა ნაღვლობს.

ქრონიკა

თბილისი

◆ **წერა-კითხვის საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს საზოგადო კრება ქრისტეშობისთვის 6 ს. განყოფილებებმა მთავარ გამგეობას კრებამდე უნდა წარმოუდგინონ თავიანთ რწმუნებულთა სია. აგრეთვე დადგენილ იქმნა იპოლიტე ვართაგავა გაიგზავნოს იმ კომისიაში სამუშაოდ, რომელმაც სამრევლო სკოლები უნდა ჩაიბაროს.

◆ **სახოფლო სამეურნეო მანქანები და იარაღები.** სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან არსებულმა სააგრონომიო კომისიამ დაადგინა ღვინობისთვის 10-ს: შუამდგომლობა აღძრას სასურსათო სამინისტროს წინაშე გადასდოს საჭირო თანხა სამეურნეო მანქანებისა და იარაღების შესაძენად სოფლებისათვის. ამ მანქანების მოხმარების ცოდნის გავრცელებას და მათ შეკეთებას თითონ კომისია კისრულობს.

◆ **გრიგოლ ვეშაპელის რუსული** წიგნი—„საქართველოს გაერთიანება და რუსეთის პროტექტორატი" (ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა დაკავშირებითი ტრაქტატი 1790 წლისა") უკვე გაისყიდა. ამ ჟამად ესევე წიგნი იბეჭდება ქართულ ენაზე.

◆ **დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის გამგეობა ამ დღეებში მოხსენებას წარუდგენს საბჭოს, რომ გადასდოს 68.000 მანეთი კასიდან მოპარულ ფულის ერთი ნაწილის ასანაზღაურებლად.

◆ **დამფუძნებელ კრების გარშემო.** ხვალ, ღვინობისთვის 13 ს, უკანასკნელი ვადაა დამფუძნებელ კრებაში გასაგზავნ კანდიდატთა სიის წარდგენისა.

◆ **სათამაშო ქაღალდი.** სათამაშო ქაღალდები ეხლა სახელმწიფო ექსპედიციაში დამზადდება. სათამაშო ქაღალდებს ფინანსთა სამინისტრო გაჰყიდის.

◆ **თბილისის პოლიტეხნიკუმში.** ღვინობისთვის 9-ს თბილისის პოლიტეხნიკუმში დაიწყო სწავლა. პირველი ლექცია არა ორგანიულ ქიმიაზე წაიკითხა პროფესორმა მელიქიშვილმა. აუდიტორია სავსე იყო მსმენელებით.

◆ **მდგომარეობა ქუთაისში.** ქუთაისის გუბერნიის კომისარი გ. გიორგაძე სთხოვს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს გაუგზავნოს მას თოფები, რადგან მდგომარეობა კვლავ საშიშიაო.

◆ **ბინების რეკვიზიცია.** თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა ქალაქის გამგეობამ იშუამდგომლა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე, რომ რეკვიზიციის წესით ჩამოერთმია კერძო პირთათვის სახლები სხვა და სხვა საჭიროებას დასაკმაყოფილებლად. კომიტეტმა ეს საქმე თითონ არ იკისრა და ამ საგნის შესახებ შუამდგომლობა აღძრა დროებით მთავრობის წინაშე.

◆ **ბარგის ჩხრეკის წესი.** სასურსათო სამინისტრომ შეიმუშავა წესი, რომლის მიხედვითაც უნდა სჩხრეკდნენ მგზავრების ბარგს. წესის მიხედვით რწმუნებულთ მხოლოდ საეჭვო ბარგის გაჩხრეკა შეუძლიანთ. მგზავრს უნდა ჩამოერთვას მხოლოდ ის სურსათი, რომელიც გასასყიდად ან და სხვის გადასაცემად მიაქვს.

◆ **მასწავლებლების ბედი.** სამხედრო შტაბმა აუწყა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ მთავრობის განკარგულებით სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებული არიან უმაღლეს და საშუალო სწავლა მიღებული მასწავლებლებიო.

◆ **მოწოდება ჯარის-კაცებს.** ქალაქის სასურსათო გამგეობამ მოწოდებით მიმართა ჯარის-კაცებს, უწესოება ნუ შეგვაქვთ მცხოვრებლებში პურს უწიგნაკოთ ნუ თხოულობთო.

სოფ. რუსისი.

◆ „ქალთა საფეიქრო სკოლის კურთხევა მოხდება კვირას, 15 ღვინობისთვეს დილის 2 საათზე.

◆ თბილისის მეორე კომმერციული სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ მოისმინა რა გაზეთ „კავკ. სლოვის", № 216, მოთავსებული ღია წერილი ნ. ფ. ნევტონოვისა მეორე კომმერციული სასწავლებლის დირექტორის ნ. დ. მახათაძის და ამავე სასწავლებლის კორპორაციის მიმართ და, გაეცნო რა ყოველგვარ განმარტებას და დოკუმენტებს ამ საქმის შესახებ, პედაგოგიურმა საბჭომ, 24 მასწავლებლისგან შემდგარმა, თავის სხდომაზედ 7 ოქტ. 1917 წ. დაადგინა: 1) გამოეცხადოს ნ. დ. მახათაძეს, როგორც პედაგოგს, ადმინისტრატორს და თანამოსამსახურეს, სრული ნდობა. 2) იცნა რა ბრალდებები, ნევტონოვისგან წამოყენებული უსაფუძვლოდ და გამოსვლა მისი კი არა პედაგოგიურად, გამოეცხადოს მას პროტესტები და ჩაითვალოს სასწავლებლიდან დათხოვნილად. 3) ეს დადგენილება გამოქვეყნდეს თბილისის პრესაში.

ფოთი.

◆ **მიტროპოლიტის ჩამოსვლა.** მოთი მეუფების ჰყონდიდელი მიტროპოლიტის ამბროსის ჩამოსვლას ქ. ფოთი ზეიმით მიეგება. 4 ოქტომბერს დილას მრავალმა ხალხმა იწყო სადგურისკენ სვლა, რომ იქ დახვედროდა თავის სულიერ მწყემსს. იქვე, სადგურზე, თავი მოეყარათ ქალაქის წარმომადგენელთ—ხმოსნებს. მოადგა თუ არა ბაქანს მატარებელი და სალონ ვაგონიდან ჩამობრძანდა მიტროპოლიტი—მას მიეგებნენ ქალაქის წარმომადგენლები პურ-მარილით, სადაც ხმოსანმა ვლ. ჯაფარიძემ ქალაქის სახელით შესაფერი სიტყვით მიმართა. ამის შემდეგ საგანგებო ეტლებით მიტროპოლიტი ქალაქის წარმომადგენლებით გაემართა მთავარ ქუჩებით საკათედრო ტაძრისკენ, სადაც მრავალს ხალხს მოეყარა თავი. ეტლიდან ჩამობრძანებულ მიტროპოლიტს ტაძარში შესვლამდე ახალგაზდა ქალები ყვავილებს უფენდენ გზაზე. თვით ეკლესიაში მას მიეგება შემოსილი სამღვდელოება, სადაც მ. იოანე ბობოხიძემ სიტყვით მიმართა. პარაკლისის შემდეგ მას მიესალმა აგრეთვე მ. თევდორაძე ადგილობრივ მოწაფეთა სახელით. ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე თვით მიტროპოლიტმა სადაც ის მოუწოდებდა თავის ახალ სამწყსოს ქრისტეს მცნების მტკიცე შეგნება-შეთვისებისაკენ.

თელავი.

◆ ალაზნის ხიდის მახლობლად ჭალაში, სადაც ყვარელიდან გამოტანებული ხუთი ქურდი მოჰყავდათ თელავში მილიციონერებს, ერთ ქურდს გაქცევა დაუპირებია. გაქცეული მილიციელს იქვე მოუკლავს.

შეცდომის გასწორება

ქალაქის საბჭოს ანგარიშში შეცდომითაა დაბეჭდილი თარხნიშვილი, უნდა იყოს ხმოს. თარხნოვი ანუ თარხანიანცი.

[illegible]

კიევიდან: 1) კონსტანტინე როსტომის ძე [illegible] 500 მან., 2) გრიგოლ თეიმურაზის ძე კახაბაძემ—250 მანეთი, 3) გიორგი ნიკოლოზის ძე შარაშენიძემ—500 მან.

ქაღალდის ახალი ფული

(20 და 40 მანეთიანი)

1) განსაკუთრებულმა მდგომარეობამ აიძულა დროებითი მთავრობა ნება დართოს სახელმწიფო ბანკს, რომ ამ უკანასკნელმა გამოსცეს ახალი ქაღალდის ფული (სახაზინო ნიშნები) 20 და 40 მანეთიანი.

2) ახალი ქაღალდის ფული 20 და 40 მანეთიანი ისევე იქნება ხმარებაში, როგორც აქამდის არსებული ქაღალდის ფული. ამიტომ ახალ ქაღალდის ფულს უნდა ღებულობდნენ როგორც კერძო პირები, ისე ხაზინები.

3) ქაღალდის ახალ ფულის გამოცემა უნდა შეეფარდოს არსებულ ქაღალდის ფულის გამოცემას და მასთან ერთად სახელმწიფო ბანკის ბალანსებში უნდა ინიშნებოდეს.

4) ქაღალდის ახალი ფული 20 და 40 მანეთიანი აღარ გავა, თუ იგი მთელ ფულის სამ მეოთხედს მაინც აღარ შეადგენს, ანდა იგი იმდენად არის გაცვეთილი, რომ მას აღარა ეტყობა-რა.

5) საფინანსო მინისტრს ეძლევა უფლება ქაღალდის ახალ ფულის 20 და 40 მანეთიანის ნიმუში თვითონ შეიმუშაოს. მისი უფლებაა აგრეთვე მის გამოცემის წესის შემუშავება.

ხელი მოაწერეს მინისტრ-თა თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ნეკრასოვმა და ფინანსების სამინისტროს გამგე ბერნაცკიმ.

1917 წ. მარიამობისთვის 22.

ქართველ მწერალთა კონფერენცია

(დასასრული)

პირველად კონფერენციას ულოცავს დუტუ მეგრელი. მისი წინადადებით კრება ფეხზე ადგომით პატივს სცემს მიცვალებულ მწერლებს ბარათაშვილიდან დაწყებული ვაჟაფშაველამდი და აგრეთვე „გამორჩენილ" უსახელო მწერლებს, რომელთაც ვერ დააჩნიეს კვალი მწერლობას. კრებამ განსაკუთრებით აღფრთოვანებით მიიღო მილოცვა სამხედრო კავშირის წარმომადგენლის არისტო ქუშაძის. კრებამ გადასწყვიტა თვითონ მიესალმოს სამხედრო კავშირს, დაადგინეს მილოცვის დეპეშები გაუგზავნონ აგრეთვე კათალიკოს-პატრიარქს კირიონ მეორეს, ავადმყოფ კიტა აბაშიძეს და ირ. წერეთელს.

ლ. მეტრეველს შემოაქვს წინადადება კონფერენციამ მანიფესტით მიმართოს ქართველ ხალხს, არისტო ქუშაძე მოითხოვს მოწოდება გაეგზავნოს აგრეთვე ევროპიელ მწერლებს. ამის შესახებ იმართება კამათი.

კამათში მონაწილეობას იღებენ: შალვა დადიანი, შალვა ამირეჯიბი, კ. გამსახურდია, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი და სხვები. დიდი სიტყვა წარმოსთქვა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც მოუწოდა მწერლებს გაერთიანებისკენ, ქართული მწერლობა ამდენხანს შეგნებულად უკან მისდევდა რუსულ მწერლობას, დღეს უთუოდ უნდა აღდგენილ იქნას დამოუკიდებლობა მწერლობის და ეს შესაძლებელია ხალხის სულიერ შემოქმედების გაგებით და ასახვით.

ინციდენტი გამოიწვია „სახ. საქმის" წარმომადგენლის სიტყვამ, რომელმაც უდიერად მოიხსენია ინტერპარტიული საბჭო და დეპუტატი აკ. ჩხენკელი, რამაც საზოგადოება ძლიერ აღელვა. განმარტებით გამოვიდა საბჭოს წევრი პეტროგრადის თათბირის დელეგატი შ. ამირეჯიბი და პეტრე ქავთარაძე.

მესამე დღე

კრებას თავმჯდომარეობს დუტუ მეგრელი. დასმულია საკითხი, ვინ უნდა შეადგინოს ტექსტი მანიფესტის და ევროპის მწერლებისადმი მოწოდების.

მოწოდების და მანიფესტის ტექსტის შედგენა მიენდო პრეზიდიუმს და სპეციალურ კომისიას რომელშიაც შევიდნენ: გრ. რობაქიძე, ივ. გომართელი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, არ. ქუშაძე, ვ. რუხაძე და დ. უზნაძე.

ქართველ მწერალთა კავშირის დაარსების შესახებ განსაკუთრებულ მოხსენებას კითხულობს ბ-ნი შალვა დადიანი, რომლის შესავალ სიტყვას კრება ტაშით აჯილდოვებს. მოხსენების შესახებ იმართება კამათი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საზოგადოების სახელწოდება და ზოგიერთი მუხლები. კამათში მონაწილეობას იღებენ პ. იაშვილი, გრ. რობაქიძე, იპ. ვართაგავა, ბარნოვი, ტ. ტაბიძე, ლადო ჯაფარიძე, ს. დადიანი, გ. ლეისამიძე და სხვანი. წესდების მუხლობრივი განხილვის შემდეგ იგი გადაეცემა განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც შედიან გრ. რობაქიძე, ლადო ჯაფარიძე, იპ. ვართაგავა, სამსონ დადიანი და ა. ახნაზაროვი, რომლებმაც მომხსენებელთან ერთად უნდა შეიმუშაონ და კრებას წარმოუდგინონ წესდების უკანასკნელი რედაქცია.

შემდეგი კრება გადაიდო მეორე დღის 7 საათისათვის.

ამიერ კავკასიის ადგილობრივ მთავრობის ორგანიზაცია

ამიერ კავკასიის მართვა გამგეობის წესების შესაცვლელად და შესავსებად დროებითის მთავრობის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა:

§ 1. დროებით, ვიდრე შემოღებულ იქმნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით საეროობო თვითმართველობა და საქალაქო, იქ, სადაც ჯერ შემოღებული არ არის, ადგილობრივ მმართველებად უნდა იყვნენ საგუბერნიო (საოლქო), სამაზრო კომისრები, რომელნიც ადგილობრივ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის პასუხისმგებელი წარმომადგენლები არიან; დროებითი მთავრობის დადგენილებანი გაჰყავთ ცხოვრებაში და ადგილობრივ მმართველობის საკითხს სწყვეტენ.

§ 2. გუბერნიის კომისარს უფლება აქვს თვალყური ადევნოს ყველა საგუბერნიო მთავრობის დაწესებულების მოქმედებას, გარდა სასამართლოს, სახელმწიფო კანტროლის დაწესებულებისა და სახელმწიფო ბანკისა. აგრეთვე ევალება გუბერნიის კომისარს თვალყური ადევნოს საადგილ-მამულო, სასურსათო კომიტეტების და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფუნქციების

აღმასრულებელ სხვა ორგანიზაციების კანონიერ მოქმედებას.

§ 3. ყოველ სასოფლო საზოგადოებაში უნდა სდგებოდეს სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც სოფლის საზოგადოების წარმომადგენლები შევლენ—ას მცხოვრებზე ერთი კაცი.

შენიშვნა: თუ სოფელში 100-ზე ნაკლები მცხოვრებია, მაშინ ეს სოფელი მეორეს უნდა შეუერთდეს. თუ საარჩევნო ხმების დათვლის დროს ასზე ნაკლები ხმა დარჩა, მაშინ 50-ზე დიდი რიცხვი მთლიან ასეულად ჩაითვლება, 50-ზე ნაკლები კი მხედველობაში არ მიიღება.

§ 4. არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა 20 წლისა და მეტი ხნის მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, თუ იმ ადგილში, სადაც არჩევნებია 1 თვეზე მეტი სცხოვრობს. ადმინისტრატიული და პოლიტიკურ გადასახლებულთ ხმის უფლება აქვთ, თუნდაც თვეზე ნაკლებ სცხოვრობდნენ ადგილობრივ.

ხმის უფლება არა აქვთ:

ა) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს; ბ) სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ უფლება აყრილთ და შეზღუდულთ; გ) ქურდობისათვის დასჯილებს.

შენიშვნა: პოლიტიკური დანაშაულისთვის სამართალში მიცემულებს უფლება არ ეზღუდებათ.

§ 5. არჩევნები უნდა მოხდეს საზოგადოების ყოველ სოფელში ცალკე, საგანგებო ინსტრუქციის წესების მიხედვით მოწვეულ საერთო კრებაზე, რომლის თავმჯდომარეც თვითონ კრებამ უნდა აირჩიოს. ხმის მიცემა უნდა იყოს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული. უნდა შესდგეს არჩევნების შედეგის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და იქ მყოფი ამომრჩევლები.

შენიშვნა: შესაძლებელია მოწყობილ იქმნეს ქალთა საარჩევნო კრება ცალკე, თუ ამას ადგილობრივი ჩვეულება მოითხოვს. ქალების ხმები მამაკაცების ხმებს უნდა მიეთვალოს.

§ 6. მუშაობის გასაძღოლად სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს თავისავე წევრებისაგან თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს.

§ 7. სოფლის აღმასრულებელ კომიტეტის გამგებლობაში შედის: ა) წესიერებისა და სიწმინდის დაცვა; ბ) თავის წევრების რიცხვიდან სოფლის კომისრების, გადასახადების ამკრებისა და თანამდებობის სხვა პირთა არჩევა; გ) სასურსათო საქმე; დ) გზათა მიმოსვლის საქმე; ე) სასკოლო საქმე; ვ) კანონის მიერ დაწესებულ გადასახადების შესაკრებად ღონისძიების ხმარება. დანარჩენი საქმეები გარდა საერობო და საადმინისტრაციო საქმეებისა განიხილავენ სოფლის ყრილობები, რომელსაც ან კომისარი იწვევს და ან მისი თანაშემწე, რომლის მოქმედების ფარგალშიაც შედის განსახილველი საკითხი.

ყოველი სოფელი კომისრის ერთ თანაშემწეს ირჩევს.

შენიშვნა: მამასახლისების და მისი თანაშემწეების თანამდებობანი გაუქმებულია, მათი მოვალეობანი კომისარმა და მისმა თანაშემწეებმა უნდა შეასრულონ.

§ 8. ყოველ საპოლიციო (სარაიონო) ნაწილში უნდა შესდგეს საუბნო (სარაიონო) აღმასრულებელი კომიტეტი. მისი შემადგენლობა რაიონის ამომრჩეველთა რიცხვზეა დამოკიდებული და ასეთის წესით შესდგება: ა) იმ უბნებში, რომლებშიაც მცხოვრებთა რიცხვი 7 ათასს აღემატება, 1000-ზე ერთს წარმომადგენელს ირჩევენ; ბ) თუ იმ რაიონში კი სადაც მცხოვრები 7000 ნაკლებნი არიან, რაიონის ყოველი მცხოვრებთა ერთი მეშვიდედი ნაწილი თითო წარმომადგენელს ირჩევს. სარაიონო და სასოფლო კომიტეტების არჩევნები შეძლებისდაგვარად ერთდროულად უნდა ხდებოდეს.

არჩევნების დანარჩენ საკითხებში დაცულ უნდა იქმნეს ამ წესების მე-4 და მე-5 §§.

§ 9. იმ მაზრებში, სადაც მცხოვრებნი შერეულნი არიან, მცხოვრებთა სურვილის მიხედვით, შესაძლებელია შესდგეს საუბნო კომიტეტები; ამ შემთხვევაში აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს საპოლიციო უბნების საზღვრების დაცვა. ახალი რაიონები განსაკუთრებული ინსტრუქციის წესსა და პირობებში უნდა შეიქმნეს.

§ 10. მაზრისა და უმაზრო ქალაქებში, აგრეთვე დაბებში კომიტეტის არჩევნების დროს დაცული უნდა იქმნეს ამ დადგენილების მე-4 და მე-5 §§. ახალი კომიტეტის წევრთა რიცხვი უკვე არსებულ კომიტეტმა უნდა განსაზღვროს.

§ 11. სამაზრო და საოლქო ქალაქების კომიტეტებში 3 წარმომადგენელი სამაზრო კომიტეტისა უნდა შედიოდეს.

§ 12. იმ ქალაქებში, სადაც საქალაქო თვითმართველობა დემოკრატიულ საფუძვლებზე უკვე შემოღებულია, აღმასრულებელი კომიტეტები უნდა გაუქმდეს.

(დასასრული ხვალ)

საქართველოს მთლიანობისთვის

ხშირად ვლაპარაკობთ საქართველოს მთლიან სხეულისათვის და ხშირად დიდ ამბავსაც დავაწევთ ხოლმე მას, ვინც მის დაქუცმაცების შესახებ ხმას ამოიღებს: მეცნიერულად დავუმტკიცებთ, რომ საქართველო, როგორც ასეთი, მთლიანია და თუ მას მოაკლდა ერთი ნაწილი მაინც, იგი დამახინჯდება, დაავადდება და სხვა, მაგრამ რომ სიტყვას პრაქტიკული შედეგი მივაყოლოთ, ეს კი არსად ჩანს. ჩვენი ხალხი, საერთოდ შუაგულ საქართველოში მცხოვრები, ცოტად თუ ბევრად შეგნებულია და მასში არის ეროვნული გრძნობა, თვით შეგნება; იგი ამ მხრივ საფრთხე არ არის ოდნავათაც, გინდ კულტურის მხრივ, მაგრამ ვინც იცნობს ჩვენს სამშობლოს განაპირა კუთხეებს, იგი დარწმუნდება, რომ სწორედ იქ მოველის საფრთხე, სწორედ იქიდან ელის მთლიან სხეულს საშიშროება და, ვისთვისაც ძვირფასია იგი, ვისაც შეგნია ეს, მან თავის ასპარეზი სწორედ აქ უნდა გადაიტანოს. არამცთუ მარტო თვითეულმა პიროვნებამ, არამედ მთელი ქართველ ინტელიგენციის ქართველ ერის კულტურის სასწორმა აქეთ უნდა გადმოსძლიოს, და მთელი მისი მოქმედება აქ გამოიხატებოდეს, ვიდრე არ დავუთანაბრებთ შეგნებით ამ მხარეებს მთელს დანარჩენ ქართველ ერთან. უმთავრესად მე მინდა ყურადღება თქვენი მივაქციო მესხეთს და, საზოგადოდ, სამაჰმადიანო საქართველოს. ის შეუგნებლობა და გაუნათლებლობა, რაც აქეთ არის, ძნელი წარმოსადგენია. ცრუმორწმუნოება, სისხლის აღება, შეუგნებელი სარწმუნოებრივი ფანატიზმი და ყოველივეს მისი საზომით ზომა ადამიანს საშინელებასა ჰგვრის. წარმოიდგინეთ იქამდის აღწევს ეს კარჩაკეტილობა, გონების გაუხსნელობა, რომ ქართველ მართლმადიდებლის მეზობელმა ზოგმა ქართველმა მაჰმადიანმა ქართული არ იცის, უფრო ქალებმა. თუ შეეკითხები „რატომა“, გიპასუხებენ: რად მინდა, თათარი ვარო! დიდი ხანი უნდა ელაპარაკოთ, რომ ბოლოს ათქმევინოთ: „ჰო ეგრეა, ქართველთა ტომისა ვარ, მაგრამ მე მაინც თათარი ვარო? ზოგგან უკვე არის ოდნავად მაინც ეს ეროვნული შეგნება, მაგრამ ჩვენ მტერმოძულეთა აგიტაციის ზედ ერთვის შეუგნებლობა, რაიც საშინელებამდე აღწევს. თითქმის ირღვევა ის მეგობრული და ძმური განწყობილება, რომელიც აქამდე არსებობდა ორ ძმათა შორის, თუ ეროვნული არა მეზობლური მაინც. აჭარის შესახებ ვერას ვიტყვი, და ნუმც იქნება ეს ასე იქაც...

საშინლად გამაკვირვა ერთმა ამბავმა ახალციხის მაზრაში, სოფელ ვალეში. ამ სოფელში სცხოვრობენ, როგორც ქართველი მართლმადიდებელნი, ისე კათოლიკენი და მაჰმადიანნი. ერთმა მითხრა, რა დროს ძმობაზეა ლაპარაკი, თუ ადგილია გორის „უეზდში ან სხვაგან გადაგვასახლეთო“. ამგვარმა განცხადებამ ძალიან ჩამაფიქრა და მოვინდომე გაგება იმისა, თუ რამ მიიყვანა ეს ადამიანი იმ დასკვნამდე, რომ მას გადასახლება მოუსურვებია? სოფელში ვიპოვე ერთი ახალგაზრდა ინტელიგენტი და მას გამოვკითხე. „ამ სამი წლის წინად რომ ამ ფრონტზე შემოტევა დაიწყო, მაშინ აქაურმა მაჰმადიანმა ქართველობამ აბაყობა დაიწყო, სხვათა მამულები დაიყვეს კიდეც, და თუ „აღობით“ და „ბეგობით“ სალამი არ მიგვეცა, სისხლს მოგვხდენდნენო. მაშინ ძალიან შეშინებულიყვნენ სხვები, მაგრამ რაკი ყოველი მიყუჩდა, ისევ ძმობა ჩამოვარდა. თუმცა გადასახლებას აპირებდნენ, ეხლაც, გერმანელთა რომ შემოუტიაო, ეშინიათ, აქაც არ მოჰყვეს შემოტევა და ისტორიულმა მათმა ძმებმა ძველებურად დღეზი არ გაჰკრანო“.

ჭეშმარიტად რომ მეტად ჩამაფიქრებელია ასეთი განცხადება, დამაღონებელია, რომ ასეთი სული შექმნილა და აქამდის გვერდით-გვერდ მცხოვრები ძმანი ასეთ ფიქრებს ივლებენ გულში.

ყოველივე ეს იმ სიბნელის ბრალია, რომელიც ამ მხარეში ჰსუფევს. და რაკი ეს ასეა, რაკი ჩვენ ძმათა სიბნელეს კიდევ ზედ ერთვის ნაძირალთა აგიტაცია (ამბობენ ბაქოელ თურქ-თათრების აგენტები არიანო) და ცეცხლზე ნავთს ასხამენ, სწორედ ამისათვის უნდა მიექციოს დიდი ყურადღება მთელმა ქართველმა საზოგადოებამ, განურჩევლად რწმენისა, მიმართულებისა და პარტიისა. არის ხოლმე ისეთი საქმენი, როდესაც ყოველივე ამაზედ მაღლა უნდა დავდგეთ და საერთო საქმის საკეთილდღეოდ ხელიხელ ჩაკიდებულნი უნდა წავიდეთ. შეგვიძლიან ვაწარმოვოთ „კლასობრივი ბრძოლა“, ვებრძოლოთ კერძო საკუთრების პრინციპს სოციალიზაციის სასარგებლოდ, მაგრამ ყოველივე ამისათვის კი არ დავივიწყოთ დიადი და კულტურის მხრივ დიდმნიშვნელოვანი საქმენი. დღეს ქართველ საზოგადოების წინაშე სწორედ ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომელიც აუცილებლივ მოითხოვს მეტად გამოცდილს, მოსიყვარულე და მზრუნველ ხელს. ამ საქმისათვის უნდა დავივიწყოთ ყოველივე შინაური განხეთქილება, ყოველივე პიროვნული თუ პარტიული და ხელი ხელს მაგრა ჩავკიდოთ. შევებრძოლოთ იმ სიბნელეს, რომელიც ამ ჩვენთვის ძვირფას მხარეშია გამეფებული, იმ ბნელ ძალებს და ნაძირალებს, რომელნიც თავისუფლად ლაპარაკობენ და წინ კი არავინ ეღობება და ერთხელ და სამუდამოდ დავიბრუნოთ ძვირფასი სისხლი და ხორცი ქართველი ერისა.

ნ. კეცხოველი

საქართველოს ეკლესია

(წერილი მოსკოვიდან)

მოსკოვის ქართ. ორგანიზაციათა კომიტეტი დაბეჯითებით თვალყურს ადევნებს ყოველგვარს პოლიტიკას ქართველებისადმი მიმართულს. მაგალითად, რამდენიმე დღე კიდეც შესწირა ეგზარხოს პლატონის მოქმედებას, აგრეთვე სარწმუნოების მინისტრის ამხანაგ პროფ. კოტლიაროვსკის გამოსვლებს. ამასთანავე რუსული პრესა „რუსკ. ვედ.“ 195 ნომერში და „რუსკოე სლოვოში“ მოთავსებული იყო ანგარიში ამ ორი პირის შეთანხმებული მუშაობისა, რაიც ცალმხრივად მიიჩნია ქართულმა კომიტეტმა და თავს იდვა კიდეც სათანადო პასუხი გაეცა. ყოფილმა საქართველოს ეკლესიის ეგზარხოსმა პლატონმა, როგორც უკვე იცით, მოსკოვის საეკლესიო კრებაზე თბილისიდან მოსული დეპეშა გამოაქვეყნა, ვითომც მათი მეუფება მიტროპოლიტი ლეონიდე 24 მარიამობისთვეს შეიარაღებული ბრბოთი მოქმედებდა და სწორედ მათ შეძლებით დაიპატრონა საეგზარხო ქონებას და სხვა. თქმა არ უნდა, ასეთი ამბავი თავისებურად უნდა გაეწუქებინათ საქართველოს ეკლესიის მტერ-მოყვარეთა, მით უმეტეს პლატონის განცხადების იქით სხვა არავითარი ცნობა არ მოსულიათ რუსულ გაზეთებს, ყოველ შემთხვევაში არა გამოუქვეყნებიათ რა, რაიც მომხდარი ამბავი სინამდვილით ყოფილიყო გადმოცემული.

საბედნიეროდ ის, რაც ვერ შესძლეს აქაურმა ჟურნალ-გაზეთობამ, შესძლო საქართველოს ადგილობრივ გაზეთებმა, განსაკუთრებით „საქართველომ“, „ვოზროჟდენიემ“ და „რესპუბლიკამ“, სადაც, სხვათა შორის მოყვანილი იყო მილიციის უფროსის კაჩუხოვის დეპეშა ჩხენკელის სახელობაზე. ასეთი დაბეჯითებული საბუთები საკმარისი იყო მოსკოვის ეროვნულ კომიტეტისათვის, რომ სათანადო პასუხი გაეცა ყველასათვის. უწინარეს ყოვლისა, ვრცელი მოხსენება შეიმუშავა სამს სხდომაზე და მოსკოვის საეკლესიო ყრილობას წარუდგინა, სადაც დაწვრილებითაა დასაბუთებული ყოფილ ეგზარხოსის განცხადების უსაფუძვლობა. შემდეგ კომიტეტი ეხება ეგრედ წოდებულ „საქართველოს სეპარატიზმის“ საკითხს. ყველა საბუთების აღნუსხვის შემდეგ დაასკვნის ასე: „საქართველოს ყოფილი ეგზარხოსი ამტკიცებს, ვითომც საქართველოს ეკლესია გამოეყო მართლმადიდებლობის ეკლესიას, საინტერესოა ვიცოდეთ, სად ჰხედავს ასეთს განცალკევებას? ნუთუ საკუთარ ქონების ჩაბარება მართლმადიდებლობიდან გათიშვას ჰმოწმობს? იგი მე-VII საუკუნიდან ავტოკეფალური იყო და არც შეუწყვეტია ავტოკეფალობა რუსეთთან შეერთებამდე, მხოლოდ რუსეთის სინოდმა გააუქმა იგი, თუმცა სინოდი იგი არავითარ უფლებით არ იყო აღჭურვილი გაეუქმებინა მსოფლიო კრების დაუდგენლად ჰბღარა მოსილი ეკლესიის დამოუკიდებლობა. ძველი წესწყობილების დანგრევისთანავე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ვერ ურიგდებოდა ნაძალადევად მოხვეულ ეგზარხოსების ბატონობას და თუ აქნობამდინ ეწყნარებოდა, იწყნარებდა მხოლოდ იძულებით, რადგანაც სხვა გასაქანი არა ჰქონდა. მაგრამ რადგანაც ძველი მთავრობა დაემხო, უეჭველია, დაემხობოდა იძულებითი ბატონობაც. საქართველოს ეკლესიამ ხმა აღიმაღლა და აღადგინა თავისი უფლებანი, და აი, სწორედ ესაა მისი დანაშაული, ესაა მისი გათიშვა მართლმადიდებელ ეკლესიიდან!

დაახლოვებით სწორედ ასე იყო ნათქვამი კომიტეტის მოხსენებაში. შემდეგ კომიტეტი იგი ეხებოდა თბილისის სამიტროპოლიტო კათედრის აღდგენას და აქაც ისტორიული საბუთებით უმტკიცებდა საქართველოს ეკლესიის კანონიერს მოქმედებას, რასაც არავითარი უზურპაციის სარჩული არ ჰქონებიაო. „ასეთს დროს,—ნათქვამია მოხსენების დასასრულს,—როდესაც ყველანი ესწრაფვიან რუსეთის სახელმწიფო მთლიანობის დაცვას, როდესაც ქართველი ხალხი ლოიალურად იქცევა და არავითარ სეპარატიზმზე არა ჰფიქრობს, არამედ მხოლოდ თავის კანონიერს მოქმედებაზე აღიმაღლებს ხმას, რომ თავის მომავალი შინაური ცხოვრება მოაწყოს ისე, როგორსაც თხოულობს მისი მსოფლმხედველობა, მისი ეროვნული მოთხოვნილებანი, ასეთი გამოსვლა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიისა ქართველთა წინააღმდეგ, არა თუ საეკლესიო კრებაზე, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სრულიად შეუწყნარებელია და ყოველ კრიტიკის გარეშე სდგას. არა, ასეთი მოქმედებით არ იქმნების მრავალ ტომებით აფერადებულ სახელმწიფოს სოლიდარული ცხოვრება.“

ყველა ამის შემდეგ მოსკოვის ქართველ ორგანიზაციათა აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ჰქონდა პროტესტი განეცხადებინა პლატონის არასაკადრის გამოსვლაზე და მოხსენება იგი, მართლაც, თავაზიანი თავდაჭერით პროტესტს უცხადებს ყველა მათ, ვინც ერთგულ მსახურების ნაცვლად სახელმწიფოს, მდაბიოდ რომ ვსთქვათ, მხოლოდ დათვურ სამსახურს უწევენ.

მოსკოველი ქართველი.

ყაზანის ციხე და მაჰმადიანები.

ყაზანის ქუჩებში, მაჰმადიანთა ერთ ერთ უქმე დღეს დიდის ამბით მიემგზავრებოდა პროცესია. ჰქუხდა სამხედრო მუსიკა, წითელ-ყვითელი დროშები ჰაერში მისცურავდნენ. ყაზანის მაჰმადიანები ციხეში მიისწრაფოდნენ. მათ „სამხედრო“ კომიტეტის დადგენილება უნდა მოეყვანათ სისრულეში.

— სიუმბეკის ისტორიულ კოშკს აჰყაროთ სახელმწიფო ღერბი. მას ნახევარი მთვარე უფრო დაამშვენებს.

— მერე რათა? რისთვის?—ისმოდა ჩურჩული რუსებისა და ძრწოლვით იგონებდნენ:

— ტყვილად ხომ არ ამბობდნენ თათრები, რომ ყაზანიდან რუსები უნდა გავრეკოთო.

იქვე სიუმბეკის კოშკთან მომხდარი დღესასწაული გამოუცნობ ამოცანად დარჩენილიყო რუსებისათვის, რომ თვით მაჰმადიანებს ცხად არ ეყოთ მომხდარი ამბები.

ზოგი რუსი შემთხვევით გასცდა მაჰმადიანთა იმ ცოცხალ ჯაჭვს, რომელიც სადღესასწაულო ადგილს ერტყა და სადაც „არა მაჰმადიანებს“ არ უშვებდნენ.

ზოგ ზოგნი გასცდნენ ამ ჯაჭვს, ყურს უგდებდნენ მაჰმადიანთა საზეიმო ლექსებს. ყურს უგდებდნენ, მაგრამ კი არ ესმოდათ ლექსების მნიშვნელობა და გულს იმშვიდებდნენ:

— ალბათ მათი ლოცვებია...

მაგრამ ისინი ლოცვებს კი არ კითხულობდნენ—იმ ლექსით დაჰღაღადებდნენ, რომელიც შემდეგ მაჰმადიანთა გაზეთ „კოიამ“-ში (№ 1163) დაიბეჭდა.

აი ისიც:

„შენ, ყაზანო, 400 წელი პატივ აყრილი იდექ, მაგრამ დღეს შენს სიუმბეკის კოშკიდან მოწოდება იმის, მოწოდება სამლოცველოდ. გიხაროდენ, კოშკო! დღეს შენი სიხარულის დღეა. დღეს მაჰმადიანთა ლაშქარი შენს კედლებს სადღესასწაულო ლოცვას მოასხენებს.

კოშკო! მოიხსენ რიდე და იხილე: ჩვენ შენ მტერს გამოვგლიჯეთ და დღეს გიბრუნდება დიდება შენი.

მაჰმადიანთა ლაშქარი იმედის ზღვას დაეწაფა.

რამდენიმე საუკუნე თუ მწარე ტყობედი შენი, დღეს შენ მაჰმადიანთა რაინდებმა აგაცილეს მწუხარება.

მალე მოსწყდება შენს თავს არწივი.

ღმერთი ინებებს, და ნახევარი მთვარე დაგაგვირგვინებს.

შენ ყველა შენობაზე მაღალი ხარ, თავი ცად მიგიბჯენია. თავს ნახევარ მთვარით დაგიგვირგვინებთ და დაე ნახევარ მთვარიოსანი თავი შენი ცად ებჯინებოდეს. იზეიმე! გიხაროდენ.

და დღეს მართლაც ზეიმი გმართებს, შენს ახლოს სიუმბეკის სული ხარობს.

განსპეტაკდი!

აღარ ინებო კვლავ პატივის აყრა!

ახარე სული სიუმბეკისა და შენი ხანები! („რ. ს.“)

კორესპონდენცია

ზემო იმერეთიდან

ქალაქი ჭიათურა. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ შავი ქვის წარმოება თანდათან იღვიძებს. ეს იმის მომასწავებელია, რომ თუ ომის განელებას მოვესწარით და შავმა ზღვამ დარდანელის კარები გახსნა, ამ დარგის წარმოება იმდენად გაიზრდება, რომ ყოველნაირს მოლოდინს გადააჭარბებს. რამდენიმე დღეა რომ შავი ქვის ფასმა საგრძნობლად აიწია,—განვლილ წლებში ფუთი შავი ქვის ფასი 25 კაპ. არ აცილდება, დღეს კი 40 კაპ. იყიდება ადგილობრივ.

იჩინა რა თავი ფინლიანდიასა და სპარსეთში ღირსება აყრილმა „რუბლმა“, მისი მრავლად გადმომზიდველი ჩვენში უკვე დარწმუნებულია ამ დარგის შეუდარებელ ღირსებაში რომ იგი მას არ დაეწევს, წყალი ვერ წაიღებს, ყოველნაირი ბუნებრივი სტიქიონი ვერას ავნებს და აღარ ნაღვლობს ფულს რამდენიც არ უნდა დააბანდოს—ამ საქონელში.

დღევანდელი ორი ბაზა ფუთი—შავ ქვაზედ უვაჭროა და, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ერთის ხმით ვაჭრობა, ვგონებ, 80 კაპეიკსაც ავიღებდით.

ქვის ფასის მომატებამ დაძინებული მაღაროებიც ახმაურა და იწმინდება გვირაბები ნელ-ნელა,—ჭიათურა ძალიან შემოსაკრებად ემზადება, რომ მრავლად მიაწოდოს ქვა საზღვარ-გარეთულ ქარხნებს ვლადივასტოკის გზით. წარსული დროის ნაბიჯებითვე დავიარებით, ცოტა შრომა იხარჯება იმაზედ, რომ ეს ნაბიჯები აღარ გამოდგებიან, ბევრი დაწერილა და თქმულა იმის შესახებ, რომ ცოტა მაინც მისცემოდა ამ მრეწველობას ეროვნული ელფერი, ეს ასე არ მოხდა და, სამწუხაროდ, არც ხდება.

ამას წინად შესდგა ქართველ ქვის გამრეცხ მეპატრონეთა კრება. იგი კრებავე დარჩა, ხორცი ვერ შეისხა და განძრახვამ და ერთსულოვნობამ გაშავებული ყვირილის წყალი იგემა და შავ ზღვაში გაჰყვა მას. სიმდიდრე ჩვენი მიწა წყლისა ხელიდან მიდის—ფერმკრთალი, სულით ავადმყოფების მსგავსი ხელებ დაკრეფილნი ვრჩებით, რომ სკამის დასადგმელი ადგილი აღარ გვრჩება, ეს კი ყველასათვის სამწუხაროა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთი მიმართულების ხალხს ვისთვისაც ეს ხელსაყრელია.

⁂

საზოგადოდ რევოლუციის პირველ ხანებში უბან-უბან თავშეყრილ ჩვენს საზოგადოებას მაღლა ასული პირების „და-და-დადამ“ არაფერი ნაყოფი მოგვიტანა. ცოტა ხნით ვიყავით გაბრუებული არა ჩვეულებრივ მოვლენით, ძველი ახლით შეიცვალა, მაგრამ შავი თეთრად არ შეცვლილა. წინეთ თუ ბოქაულ ნესტორის მიწერილობას ვკითხულობდით: „ჩამორჩენილ საზოგადოების მამასახლისო შედი გოგია გაძვალტყავებულ[illegible]ის ქოხში დაარბიე წამოიღე [illegible], საქვაბე და სხვა მღვდელ[illegible] ფოშტის ფულში“—ან [illegible] გვწერენ: „მოქალაქე [illegible] სიმონს, რომ ხარი გაუტყავეს ნიკოზეთში თუ ბოროტგამძრახველი არ აღმოაჩინე, 500 მანეთი გადახდება საზოგადოებას“. ან კიდევ მოგიწერ შეარიგე ქვრივი ოლღა, რომელსაც მცირეწლოვანი ტიტველი ბავშვებით ერთი ურემი სიმინდი წაუღია ყანის მოზიარე შიოსგან“. განსხვავება, როგორც ვხედავთ, წითელ მელანშია და მოქალაქობრივ მიმართვაში—კარგი ელემენტები გამოგვრჩნენ. იმ თავითვე ხალხს გვერდი აუარეთ. ზევიდან ეწყეთ განკარგულებები და მცირე ნაწილმა საზოგადოებისამ იგრძნო სისუსტე მოსამართლეთა და ყოველ სოფელში აქვს ბოროტებას ადგილი, ქალაქში-კი რბევა-აწიოკებას მადაგაღვიძებულ ვაჭართა წინააღმდეგ ანდაზა არის პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულიაო, არ მინდა, რომ ეს მოციქული გავხდე და ვერც ვაქებ მუშათა პარტიის მიმდევრების შრომასა და მოღვაწეობას. სხვებთან ერთად, ბევრი ღვაწლი მიუძღვის ერთ ჭიათურის საზოგადოების წევრს—კომერსანტს ბ. მ—ს, რომელმაც საგრძნობი პარტია ფეხსაცმლები მოგვაწოდა. თვითონ ვაჭრობა შეაჩერა და სააგარაკოთ წაღვერს წავიდა და აი სწორედ ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებისათვის ინახავდა; როცა ჩამოვიდა 10—12 თუმნაში გვითმობდა მისი რწმენით ფას დაკლებით. შემდეგ შეატყო, რომ ამაზე მეტ ფას გორი ან თბილისი მოსცემსო და ერთი 60 წყვილი შეაყოლა ცხრა საათის მატარებელს, მაგრამ ქალაქის [illegible] კანდიდატი, კომერციული ნიჭით სავსე, დაიჭირეს... მაგრამ დახედეთ, გაკადნიერებული კიდევ ითხოვს, რომ ნება მისცენ წაიღოს ეს საქონელი, ვითომც უკეთეს საქონლის მოსატანად...

აი რა კომერციულ ნიჭის კომისრები ჰყავს ჩვენს ქალაქს.

გაღ. ქავთარაძე.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

კალენდარი

ხუთშაბათი ღვინობისთვ.

12

ქართვ. წმ. მოწამეთა ტარასი და ანდრონიკესი; ღირსისა მამისა ჩვენისა კოზმა წმინდა ქალაქელისა და კანონთ მომქმედისა მაიუმის ეპისკ.

კათოლ. მაქსიმილიანესი.

სომეხ. პანტელეონ მკურნალისა და ემოლიი მღვდლისა.

მაჰმად. პინჯ-შამბე 9 რ. მუხარამ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომხამიშ 3 რ. ხეშვან 5678 წ. ქვ. შექმ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

([illegible])

თბილისიდან გადის

ბათუმისაკენ	სამგ.	№ 5,	11.32	დილ.
„	სწრ.	№ 3,	11.28	საღ.
[illegible]	სამგ.	№ 18,	3, 17	დღ.
„ „		№ 17,	8.19	დილ.
ბაქოსაკენ	[illegible]	№ 6,	9.51	დილ.
„	სამგ.	№ 4,	8.46	საღ.
[illegible]	სამგ.	№ 1-8,	12.15	საღ.

თბილისში მოდის:

[illegible]	სამგ.	№ 10,	8.33	დილ.
„	სამგ.	№ 4,	7.41	საღ.
[illegible]	სამგ.	№ 20,	7.57	დილ.
„	სამგ.	№ 18,	9.59	საღ.
ბათუმიდან	სამგ.	№ 8,	10.26	დილ.
„	სწრ.	№ 4,	10.20	საღ.
[illegible]	სამგ.	№ [illegible],	7.53	დილ.

კანტორა
„განათლება“
უგზავნის თავის აგენტებს შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „საქართველო“, „ერთობას“, „ეშმაკის მათრახს“, „Борьба“-ს, „სახალხო საქმეს“, „ალიონს“, „Кавк. Рабочи“-ს, „ბრძოლას“, „სოფლის მუშას“, „Республика“-ს, „თეატრი და ცხოვრებას“, „ფიქრს“, „კავშირს“ და ყველა ახლად გამოსულ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს.
კანტორაში არის გასაყიდი კანტორის გამოცემა ნ. რამიშვილის ცნობილი წიგნი „ისტორიული მატერიალიზმი“, ს.-დ. მოღვაწეები საქართველოში, ლუი ქიაჩელის მოთხრობა „ტარიელ გოლუა“, პეტროგრადიდან მიღებული სხვა და სხვა ნაირი თანამედროვე დიდძალი ლიტერატურა და ყველა გამოცემა ადგილობრივი ორგანიზაციების ქართულ-რუსული. ნისიად გაზეთები და წიგნები არავის არ ეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартниладзе.

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გაზეთის შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“

ეროვნული ბიბლიოთეკა